შპს „ევოლუშენ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 შპს ევოლუშენ ჯორჯია და მისი საქმიანობა ... 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო ... 6
3 მომზადების საფუძველი ... 7
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ... 8
5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება ... 9
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები ... 10
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ... 12
8 ძირითადი საშუალებები ... 13
9 აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები ... 15
10 გადახდილი ავანსი ... 18
11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ... 19
12 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ... 20
13 საწესდებო კაპიტალი ... 20
14 ნასესხები სახსრები ... 21
15 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება ... 22
16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ... 23
17 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ... 23
18 სტუდიასთან დაკავშირებული ხარჯები ... 24
19 სხვა შემოსულობა/(ზარალი), ნეტო ... 24
20 საფინანსო შემოსავალი ... 24
21 საფინანსო ხარჯი ... 24
22 მოგების გადასახადი ... 25
23 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები ... 26
24 ფინანსური რისკის მართვა ... 27
25 კაპიტალის მართვა ... 30
26 სამართლიანი ღირებულების განმარტება ... 31
27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ... 33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ევოლუშენ ჯორჯია-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ევოლუშენ ჯორჯია-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც შედგება არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციისგან და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*- ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე ჩვენს მიერ გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს არსებითი უზუსტობა, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ

არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-506913)

2024 წლის 7 მარტი
თბილისი, საქართველო

ათასი ლარი	შენიშვნა	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ. 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	43,863	51,381
არამატერიალური აქტივები		30	57
აქტივების გამოყენების უფლება	9	16,720	20,691
გადახდილი ავანსი	10	1,771	5,553
სხვა ფინანსური აქტივები		1,404	1,425
სულ გრძელვადიანი აქტივები		**63,788**	**79,107**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		3,852	3,966
გადახდილი ავანსი	10	6,583	8,496
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	21,377	15,122
სხვა საგადასახადო მოთხოვნა		4,994	531
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	23,989	14,543
სულ მოკლევადიანი აქტივები		**60,795**	**42,658**
სულ აქტივები		**124,583**	**121,765**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	-	-
აქციებზე დაფუძნებული გადახდების რეზერვი		(8)	(324)
გაუნაწილებელი მოგება		48,165	34,223
სულ კაპიტალი		**48,157**	**33,899**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
იჯარის ვალდებულებები	9	13,478	16,983
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**13,478**	**16,983**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	14	46,198	53,440
იჯარის ვალდებულება	9	3,523	3,306
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	16	13,228	14,137
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**62,949**	**70,883**
სულ ვალდებულებები		**76,427**	**87,866**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**124,583**	**121,765**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 7 მარტს.

პალ ჯესპერ ფონ ბაჰრი
დირექტორი

ანა გაჩეჩილაძე
ბუღალტერიის რეგიონალური მენეჯერი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-33, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ათასი ლარი	*შენიშვნა*	**2023**	**2022**
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	17	**201,132**	**172,662**
სხვა შემოსავალი		501	465
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი		(133,720)	(114,885)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	8,9	(17,599)	(17,378)
სტუდიასთან დაკავშირებული ხარჯები	18	(6,677)	(7,441)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება		(6,234)	(4,463)
კომუნალური ხარჯები		(4,003)	(3,516)
წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები		(2,397)	(2,398)
ტელეკომუნიკაციის ხარჯები		(2,144)	(2,462)
საოფისე მარაგები		(1,810)	(1,806)
სარემონტო და მოვლა-შენახვის მომსახურება		(1,492)	(2,199)
უცხოური ვალუტის გაცვლის ზარალი შემცირებული შემოსულობებით (ნასესხებ სახსრებზე არსებულის გარდა)		(927)	(5,499)
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ხარჯი		(316)	(982)
სხვა შემოსულობა/(ზარალი), ნეტო	19	(4,569)	(5,867)
საოპერაციო მოგება		**19,745**	**4,231**
ფინანსური შემოსავალი	20	-	11,841
ფინანსური ხარჯი	21	(5,803)	(2,844)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**13,942**	**13,228**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(1,267)
წლის მოგება		**13,942**	**11,961**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი, სულ		**13,942**	**11,961**

ათასი ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წ. 31 დეკემბერს	13	**-**	**(1,306)**	**22,262**	**20,956**
წლის მოგება		-	-	11,961	11,961
აქციებზე დაფუძნებული გადახდების ანაზღაურება		-	982	-	982
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ, წლის სრული შემოსავალი		-	982	11,961	12,943
ნაშთი 2022 წ. 31 დეკემბერს	13	**-**	**(324)**	**34,223**	**33,899**
წლის მოგება		-	-	13,942	13,942
აქციებზე დაფუძნებული გადახდების ანაზღაურება		-	316	-	316
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	316	13,942	14,258
ნაშთი 2023 წ. 31 დეკემბერს	13	**-**	**(8)**	**48,165**	**48,157**

ათასი ლარი	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**13,942**	**13,228**
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	8,9	17,599	17,378
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ანაზღაურების ხარჯი		316	982
ფინანსური ხარჯი		5,803	2,844
სავალუტო შემოსულობა, ნეტო		619	(5,697)
შემოსულობა იჯარის ვალდებულების აღიარების შეწყვეტიდან		-	(650)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი, შემცირებული შემოსულობებით		(14)	-
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		81	161
სხვა არა-ფულადი ცვლილებები		308	270
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**38,654**	**28,516**
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	11	(6,012)	(2,339)
(ზრდა)/ შემცირება გადახდილ ავანსებში	10	5,600	(12,134)
(ზრდა)/ შემცირება მარაგებში		114	(154)
(ზრდა)/ შემცირება სხვა საგადასახადო მოთხოვნებში		(4,406)	4,250
(ზრდა)/ შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	16	(952)	890
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება		**(5,656)**	**(9,487)**
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(1,267)
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(8,422)	(2,025)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**24,576**	**15,737**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გრძელვადიანი აქტივების შეძენა	8	(6,380)	(13,488)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა	8	293	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(6,087)**	**(13,488)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების დაფარვა	14	(4,623)	(6,578)
იჯარის ვალდებულებების დაფარვა	15	(3,274)	(3,146)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(7,897)**	**(9,724)**
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,146)	(4,870)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	**14,543**	**26,888**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	**23,989**	**14,543**

1 შპს ევოლუშენ ჯორჯია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შპს „ევოლუშენ ჯორჯიასთვის“ (შემდგომში „კომპანია“).

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „ევოლუშენ ჯორჯია“ საქართველოში დაფუძნდა 2017 წლის 29 მაისს და მისი ადგილმდებარეობა საქართველოშია. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ დარეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 405209689.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია იყო შპს Evolution Malta Holding Limited, მალტა (შემდგომში „მშობელი კომპანია”), Evolution Gaming Group AB არის საბოლოო მშობელი კომპანია და კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

შპს Evolution Malta Holding Limited რამდენიმე კომპანიას ფლობს მსოფლიო მასშტაბით და მისი მფლობელია Evolution Gaming Group AB (საჯარო), შვედური საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც საფონდო ბირჟაზე - Nasdaq Nordic Large Cap - არის რეგისტრირებული 2017 წლის 5 ივნისიდან. Evolution Gaming Group AB (საჯარო) და მისი შვილობილი საწარმოები (შემდეგში „ჯგუფი“) წარმოადგენს ლაივ კაზინო (Live Casino) სისტემების წამყვან „ბიზნესი ბიზნესისთვის“ (შემდეგში “B2B”) პროვაიდერს. ჯგუფი ქმნის, ავითარებს, აწარმოებს სრულად ინტეგრირებულ ლაივ კაზინო გადაწყვეტებს აზარტული თამაშების ოპერატორებისთვის, ახორციელებს მის მარკეტინგს და გასცემს ლიცენზიებს. ის მონაწილეობს მხოლოდ განვითარებასა და შექმნაში, ხოლო თვითონ არ ახორციელებს აზარტული თამაშების ოპერირებას. Evolution Gaming Group AB (საჯარო) წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია და შესაბამისობაშია ევროკავშირის მიერ მიღებულ ფასს-თან.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ლაივ კაზინო მომსახურებების B2B ლაივ სტრიმინგი. დაფუძნებიდან ცოტა ხნის შემდეგ, 2017 წლის 1 ივლისს, კომპანიამ ხელი მოაწერა შეთანხმებას (შემდეგში „შეთანხმება მომსახურების შესახებ“) შპს Evolution Malta Limited-თან და შპს Evolution Gaming Malta-სთან (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები – “EUCC”), რომლის შესაბამისად კომპანიამ შემდეგი მომსახურებები უნდა გასწიოს:

- კაზინოს თამაშების ვიდეო და აუდიო ტრანსლაცია ინტერნეტის მეშვეობით;
- აზარტული თამაშების ტრანსლაციისთვის საჭირო მოწყობილობებისა და სერვერის მიწოდება და მოვლა-შენახვა;
- იმ თანამშრომლებისთვის ტრეინინგების უზრუნველყოფა, რომლებიც ახორციელებენ ონლაინ კაზინოს მომსახურებას;
- ონლაინ კაზინოს მომსახურების უზრუნველსაყოფად პერსონალის დაქირავება და მართვა;
- ზემოაღნიშნული მომსახურებებისთვის საჭირო ადმინისტრაციული მომსახურების უზრუნველყოფა.

კაზინოს მომსახურებების ლაივ სტრიმინგი ხორციელდება კომპანიის მიერ იჯარით აღებულ უძრავ ქონებაზე აშენებული სტუდიების მეშვეობით. კერძოდ, კომპანიის მიერ დაქირავებული თამაშების წარმდგენლები თამაშების (“რულეტკა”, “ბლექჯეკი”, „პოკერი” და “ბაკარა”) პრეზენტაციას ახორციელებენ კომპანიის სტუდიებში დამონტაჟებული აზარტული თამაშების მოწყობილობის მეშვეობით, რომელიც ლაივ სტრიმინგით გადაიცემა Evolution Malta Ltd-ში. კომპანია იყენებს მოდელს, თვითღირებულებას მიმატებული ფასნამატი და კომპანიის ამონაგები პირდაპირ კავშირშია ზემოაღნიშნული მომსახურების გაწევისთვის გაწეულ ხარჯებთან, ეს გამოითვლება თვითღირებულებით, რასაც ემატება შეთანხმებული ფასნამატის პროცენტი.

2022 წლის 28 ივნისს, კომპანიამ, საქართველოს შემოსავლების სამსახურისგან მიიღო ლაივ კაზინოს მომსახურების პირდაპირი ტრანსლაციის B2B მომსახურების მიწოდების ნებართვა 5 წლის ვადით, „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც მიღებულია 2021 წლის 22 დეკემბერს, შეტანილი ცვლილების შესაბამისად,

კომპანიის პროფესიული ხარჯები მოიცავს 181 ათას ლარს (2022: 91 ათასი ლარი) - აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის გაწეული საფასური, რაც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანია რეგისტრირებულია და საქმიანობას ძირითადად ეწევა შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, მექანიზაციის ქ. 1/თორნიკე ერისთავის ქ. 2.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (შემდეგში "GEL"), თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაცია და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტირებასა და ხშირ ცვლილებებს ექვემდებარება.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ღონისძიებებზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოებებთან ერთად.

2023 წელს საქართველოს ეკონომიკამ პანდემიისგან აღორძინების დადებითი დინამიკა აჩვენა. ამ ტენდენციას ასევე დაეხმარა გლობალური ეკონომიკის აღორძინება და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდა. თუმცა, საქართველოს და გლობალურ ბაზრებზე მაღალი ფასები ასევე ხელს უწყობს ინფლაციას საქართველოში.

COVID-19. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი შესაბამისი ზომები COVID -19 -ის გავრცელებისა და მისი გავლენის შესაჩერებლად, როგორიცაა შეზღუდვები მგზავრობაზე, კარანტინი, თვითიზოლაცია და შეზღუდვები ბიზნეს-საქმიანობაზე, მათ შორის საქმიანობის შეწყვეტაზე. ზოგიერთი ზემოაღნიშნული ზომა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებობს რისკი, რომ ხელისუფლებამ დააწესოს დამატებით შეზღუდვები 2023 წელს, მათ შორის ვირუსის ახალი ვარიანტების შესაძლო გაჩენის გამო.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. უკრაინაში ომი 2022 წლის თებერვალში დაიწყო, მოსალოდნელია, რომ ომს ყოვლისმომცველი გავლენა ექნება გლობალურ ეკონომიკაზე, მაგალითად, სასაქონლო ფასების ზრდა, ნავთობის/გაზის/ქვანახშირის პოტენციური დეფიციტი, ბიზნეს საქმიანობის შეფერხება და ა.შ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ომის პირდაპირი გავლენა კომპანიის საოპერაციო შედეგებზე არ არის მნიშვნელოვანი.

მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის სამომავლო გავლენის პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

3 მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდეგში „ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე, როგორც ეს მოდიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით. ქვემოთ მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. წინამდებარე პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის მოითხოვს ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. სფეროების, სადაც მაღალი ხარისხისა და სირთულის განსჯა გამოიყენება, ასევე სფეროების, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია მე-**Error! Reference source not found.** განმარტებით შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (შემდეგში "GEL").

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაყვანიდან, ნასესხები სახსრების გარდა, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის მუხლში, შემოსულობით შემცირებული სავალუტო ზარალის ნაწილში. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი წარდგენილია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში, „საფინანსო შემოსავალი ან საფინანსო ხარჯები “ (შენიშვნები 20,21).

წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული.

2023 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ძირითადი სავალუტო კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ნაშთების გადასაყვანად, გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი (“USD”) 1 = 2.6894 ლარს და ევრო (“EUR”) 1 = 2.9753 ლარს (2022 წ. 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = 2.7020 ლარი და ევრო 1 = 2.8844 ლარი). დღეისათვის ქართული ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის.

ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დადასტურებას, რომელმაც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა გამოსაცემად.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა ფინანსური ბაზრების ვითარების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

როგორც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებიდან ჩანს, კომპანიას გააჩნია სასესხო საშუალებების მაღალი წილი, თუმცა ლიკვიდობის კოეფიციენტები გაუმჯობესდა. ეს იმის გამო ხდება, რომ კომპანიის ნასესხები სახსრების ნაშთი შემცირდა 2023 წლის განმავლობაში. სასესხო საშუალებების მაღალი წილი განპირობებულია იმით, რომ კომპანიას ნასესხები აქვს სახსრები მშობელი კომპანიისგან უვადოდ. კომპანიამ მშობელი საწარმოსგან მიიღო მხარდაჭერის წერილი, რათა დარწმუნდეს, რომ ის გააგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება – იხილეთ შემდგომი ინფორმაცია მე-7 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები – იხილეთ შემდგომი ინფორმაცია მე-8 შენიშვნაში.

აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა –იხილეთ შემდგომი ინფორმაცია მე-9 შენიშვნაში.

გაგრძელებისა და შეწყვეტის ოფციონები – იხილეთ შემდგომი ინფორმაცია მე-9 შენიშვნაში.

იჯარის ვალდებულებების განსასაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები– იხილეთ შემდგომი ინფორმაცია მე-9 შენიშვნაში.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდგომი ახალი სტანდარტები და შესწორებები შევიდა ძალაში 2023 წლის 1 იანვარიდან:

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12 „მოგების გადასახადები“ -შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისს). 2023 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ვიწრო მასშტაბის ცვლილებები ბასს 12-სთვის „მოგების გადასახადები“. ეს ცვლილება შემოღებულ იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ საერთაშორისო საგადასახადო რეფორმის შედეგად გამოქვეყნებული მეორე კომპონენტის სამოდელო წესების გარდაუვალი დანერგვის საპასუხოდ. ცვლილებები ითვალისწინებს დროებით გამონაკლისს გადავადებული გადასახადების აღიარებისა და გამჟღავნების მოთხოვნისგან, რაც წარმოიქმნება მოქმედი, ან არსებითად ძალაში შესული საგადასახადო კანონმდებლობიდან, რომელიც ახორციელებს მეორე კომპონენტის სამოდელო წესების დანერგვას. ბასს-ის ძალაში შესვლის თარიღის შესაბამისად, კომპანიებს გამონაკლისის გამოყენება დაუყოვნებლივ შეუძლიათ, მაგრამ გამჟღავნების მოთხოვნები საჭიროა წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.

ამ შესწორებების გამოყენებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომელთა გამოყენებაც მანამდე ჯგუფს არ დაუწყია, არის შემდეგი:

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს , შემდგომში შესწორდა 2020 წლის 20 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.). ამ ვიწრო მასშტაბის შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2022 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის მოკლევადიანად თუ გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე საანგარიშგებო თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს). ფინანსური შეთანხმებების არაადეკვატური ან შეცდომაში შემყვანი განმარტებების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნის საპასუხოდ, 2023 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში, რათა მოთხოვნილ იქნას საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების შესახებ განმარტება შენიშვნებში. ეს ცვლილებები მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების განმარტებას შენიშვნებში, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ამ შეთანხმებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკისადმი დაქვემდებარებაზე. განმარტებითი შენიშვნების დამატებითი მოთხოვნების მიზანია მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობის გაზრდა. ცვლილებები გავლენას არ ახდენს აღიარების, ან შეფასების პრინციპებზე, არამედ მხოლოდ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებზე. განმარტებითი შენიშვნების ახალი მოთხოვნები ძალაში იქნება 2024 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს). 2023 წლის აგვისტოში, ბასსს-მა გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რაც დაეხმარება საწარმოებს შეაფასონ ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა და განსაზღვრონ სპოტ სავალუტო კურსი, მაშინ, როდესაც ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა არ არის. საწარმოზე ეს ცვლილება გავლენას ახდენს მაშინ, როდესაც ის ახორციელებს ტრანზაქციას ან ოპერაციას ისეთ უცხოურ ვალუტაში, რომელიც შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით არ არის გაცვლადი. ბასს 21-ში შესწორებები არ ითვალისწინებს დეტალურ მოთხოვნებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს სპოტ სავალუტო კურსი. სანაცვლოდ, ადგენს იმ ფარგლებს, რომლის მიხედვითაც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შესადარისი ინფორმაციის ხელახლა გადაანგარიშება. საჭიროა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თანხების კონვერტირება თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის შეფასებული სპოტ სავალუტო კურსით, გაუნაწილებელი მოგების კორექტირებით, ან კუმულაციური საკურსო სხვაობების რეზერვში. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვასთან, ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსულობის ან ზარალის აღიარება, მაშინ, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ოპერაციებს ახორციელებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ. 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	21,377	15,122
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	43	147
ნასესხები სახსრები**	უშუალო მშობელი კომპანია	46,198	53,440

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2023	2022
მომსახურების გაყიდვა*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	201,132	172,662
საპროცენტო ხარჯი**	უშუალო მშობელი კომპანია	2,975	1,252

კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულ მხარეებთან ხორციელდება. კერძოდ:

მომსახურების გაყიდვები. კომპანია მომსახურებას ეწევა შპს Evolution Malta Limited-თან (შენიშვნა 17) და შპს Evolution Gaming Malta -სთან(შენიშვნა 17) გაფორმებული „მომსახურების შეთანხმების“ ფარგლებში , რომლითაც განისაზღვრება ასევე გარიგების ფასი. მხოლოდ შპს Evolution Malta Limited და შპს Evolution Gaming Malta წარმოადგენენ კომპანიის მომსახურების მომხმარებლებს.

*** ნასესხები სახსრები.* კომპანიამ 2017 წელს Evolution Malta Ltd-თან სასესხო ხელშეკრულებას და მის დანართს 2019 წლის 2 იანვარს მოაწერა ხელი, რაც, მას EUR 20,000 ათასის ოდენობით ფულადი სახსრების სესხად აღების საშუალებას აძლევს. ამ ფინანსური ვალდებულების საპროცენტო განაკვეთია წლიური 2%, მიმატებული 12-თვიანი EURIBOR (თუ EURIBOR უარყოფითი არ არის). 2022 წლის 1 ნოემბერს, შპს Evolution Malta Limited-თან და შპს Evolution Malta Holding Limited-თან შეთანხმების საფუძველზე, შპს Evolution Malta Limited-მა სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა მისი

უფლება გადასცა შპს Evolution Malta Holding Limited-ს, ისე, რომ კომპანიის დაუფარავი ვალი შპს Evolution Malta Limited-ის მიმართ, მიღებული იქნება შპს Evolution Malta Holding Limited-ის მიერ.

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. კომპანიის მთავარი ხელმძღვანელი პირები, რომლებიც წარმოდგენილია ორი დირექტორით, არიან დირექტორთა საბჭოს წევრები ჯგუფის დონეზე და ანაზღაურებას იღებენ ჯგუფისგან, შესაბამისად.

8 ძირითადი საშუალებები

არსებითი საღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. ძირითადი საშუალებები მოიცავს მომავალში ძირითადი საშუალების სახით გამოყენების მიზნით მშენებარე აქტივებს.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების მუხლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა გადანაწილდეს მათი ღირებულება ნარჩენ ღირებულებებზე მათი შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
სტუდიის ტექნიკური მოწყობილობები	2-დან 5-მდე
სერვერები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა მოწყობილობები	1-დან 7-მდე
საოფისე ავეჯი და სხვა მოწყობილობები	2-დან 5-მდე
საიჯარო გაუმჯობესებები	სასარგებლო მომსახურების ვადასა და საბაზისო იჯარის ხანგრძლივობას შორის უმცირესი

კომპანიის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები, როგორც წესი, უმნიშვნელოა და ითვლება ნულად.

მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და განსჯა საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განსახიერებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი პირველადი ფაქტორები:(a) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (b) მოსალოდნელი ცვეთა/გაფუჭება, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ექსპლუატაციის პროგრამაზე; და (c) საბაზრო პირობების ცვლილებებისგან წარმოქმნილი ტექნიკური თუ კომერციული მოძველება.

დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადები რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული დაშვებებისგან 10%-ით, 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის გაუფასურებაზე გავლენა იქნებოდა მისი 1,391 ათასი ლარით ზრდა ან 1,138 ათასი ლარით შემცირება. (2022 : 1,511 თასი ლარით ზრდა ან 1,236 ათასი ლარით შემცირება).

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ათასი ლარი	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სტუდიის ტექნიკური მოწყობილობები	სერვერები და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიური მოწყობილობები	საოფისე ავეჯი და სხვა მოწყობილობები	CIP* და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება 2022 წ. 1 იანვარს	41,011	19,406	8,095	6,273	926	75,711
დაგროვილი ცვეთა	(7,585)	(9,032)	(4,356)	(3,096)	-	(24,069)
საბალანსო ღირებულება 2022 წ. 1 იანვარს	**33,426**	**10,374**	**3,739**	**3,177**	**926**	**51,642**
დამატებები	3,798	3,325	798	1,535	4,464	13,920
გასვლა	-	(317)	(12)	(337)	(412)	(1,078)
ტრანსფერი	1,533	378	105	384	(2,400)	-
ცვეთის ხარჯი	(5,640)	(4,770)	(1,492)	(1,695)	-	(13,597)
ცვეთა გასვლისას	-	194	9	291	-	494
საბალანსო ღირებულება 2022 წ. 31 დეკემბერს	**33,117**	**9,184**	**3,147**	**3,355**	**2,578**	**51,381**
თვითღირებულება 2022 წ. 31 დეკემბერს	46,340	22,810	8,988	7,859	2,578	88,575
დაგროვილი ცვეთა	(13,223)	(13,626)	(5,841)	(4,504)	-	(37,194)
საბალანსო ღირებულება 2022 წ. 31 დეკემბერს	**33,117**	**9,184**	**3,147**	**3,355**	**2,578**	**51,381**
დამატებები	1,866	1,768	271	1,205	1,675	6,785
გასვლა	(308)	(595)	(178)	(715)	(30)	(1,826)
ტრანსფერი	3,273	25	-	749	(4,047)	-
ცვეთის ხარჯი	(6,102)	(4,421)	(1,162)	(1,951)	-	(13,636)
ცვეთა გასვლისას	-	479	65	614	-	1,158
საბალანსო ღირებულება 2023 წ. 31 დეკემბერს	**31,846**	**6,440**	**2,143**	**3,257**	**176**	**43,863**
თვითღირებულება 2023 წ. 31 დეკემბერს	51,173	23,990	9,079	9,094	176	93,513
დაგროვილი ცვეთა	(19,327)	(17,550)	(6,936)	(5,837)	-	(49,650)
საბალანსო ღირებულება 2023 წ. 31 დეკემბერს	**31,846**	**6,440**	**2,143**	**3,257**	**176**	**43,863**

(*) დაუმთავრებელი მშენებლობა 2023 წლის 31 დეკემბერს მოიცავდა სტუდიების მშენებლობასა და დაქირავებული შენობების რემონტს.

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილი აქტივების მთლიანი საწყისი ღირებულება იყო 15,785 ათასი ლარი და 6,444 ათასი ლარი, შესაბამისად, რაც შეყვანილია ძირითად საშუალებებში.

9 აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

აქტივების გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს ოფისს და სტუდიის შენობებს. ხელშეკრულებები შეიძლება მოიცავდეს ორივეს, საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს. იჯარიდან წარმოქმნილი აქტივები თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივების გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს იჯარის ვალდებულების საწყისი შეფასების თანხას, იჯარის გადახდებს, რომლებიც განხორციელდა დაწყების თარიღამდე ან მისი დაწყებისას, შემცირებული საიჯარო წამახალისებლებით და ნებისმიერი საწყისი პირდაპირი ხარჯებით.

აქტივების გამოყენების უფლების მუხლების გაუფასურება გამოითვლება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	8-დან 9 წლამდე
ბაზისო სადგური	6 წელი

იჯარის ვალდებულებები. იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები მოიცავს შემდეგი იჯარის გადახდების წმინდა დღევანდელ ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები), , შემცირებული ნებისმიერი მისაღები საიჯარო წამახალისებლებით.
- იჯარის შეწყვეტის ჯარიმების გადახდები, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ ამ ოფციონის გამოყენებას.

გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები შეყვანილია კომპანიის ყველა იჯარაში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივების მართვასთან დაკავშირებით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საპროცენტო განაკვეთებს, რომლებიც მორგებულია კომპანიის იჯარის სპეციფიკას, მაგალითად ვადა, ვალუტა, მიზანი.

ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში, რათა წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე ყოველი პერიოდისთვის.

გადახდები, რომლებიც ასოცირებულია ძირითადი საშუალებების მოკლევადიან იჯარებთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი, მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლებსაც გააჩნიათ 12 თვიანი ან ნაკლები საიჯარო ვადა.

მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და განსჯა საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

აქტივების გამოყენების უფლების გაუფასურება. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალიწსინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი (ან შეწყვეტის ოფციონის შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რმწუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები. გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები შეყვანილია კომპანიის ყველა იჯარაში. ისინი გამოიყენება კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვასთან დაკავშირებული ოპერაციული მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი (ან შეწყვეტის ოფციონის შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). შენობა-ნაგებობების იჯარებისთვის, ჩვეულებრივ ყველაზე შესაბამისი შემდეგი ფაქტორებია:

- თუ არსებობს შეწყვეტაზე (ან არ გაგრძელებაზე) მნიშვნელოვანი ჯარიმები, ჩვეულებრივ, კომპანიას გონივრული რწმუნება გააჩნია გააგრძელოს (ან არ შეწყვიტოს იჯარა).
- თუ მოსალოდნელია, რომ რაიმე საიჯარო გაუმჯობესებას გააჩნია მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, კომპანიას აქვს გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (ან არ შეწყვეტაზე).
- სხვაგვარად, კომპანია ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, მათ შორის ისტორიული იჯარის განგრძობითობას და ხარჯებს და იჯარით გაცემული აქტივის ჩასანაცვლებლად წარმოების ნორმალური სვლის რღვევას.

იჯარის პირობა გადაფასდება თუ ოფციონი გამოიყენება (ან არ გამოიყენება) ან კომპანია ვალდებული ხდება, რომ ის გამოიყენოს (ან არ გამოიყენოს).

იჯარის გარანტიების განსასაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. კომპანია იყენებს მისი ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს, როგორც დისკონტირების განაკვეთის გამოთვლის საფუძველს, იმიტომ, რომ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი არ შეიძლება ადვილად განისაზღვროს.

2022 წლის 31 დეკემბერს დისკონტირების განაკვეთში 10%-იანი ზრდა ან შემცირება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიწვევდა იჯარის ვალდებულებებში ზრდას ან შემცირებას 166 ათასი ლარის ოდენობით (2022 წლის 31 დეკემბერი: 359 ათასი ლარი).

კომპანია იჯარით იღებს ოფისს, სტუდიის ფართებსა და პირდაპირი ტრანსლაციისთვის საბაზისო სადგურს. ქირავნობის ხელშეკრულებები, როგორც წესი, იდება ფიქსირებულ პერიოდებზე- 8-დან 10 წლამდე, მაგრამ შესაძლებელია გააჩნდეს გაგრძელების შესაძლებლობაც.

ათასი ლარი	შენობა-ნაგებობები	საბაზისო სადგური	სულ
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**22,615**	**2,076**	**24,691**
დამატებები	-	1,115	**1,115**
გასვლები	-	(4,335)	**(4,335)**
დაგროვილი ცვეთა გასვლისას	-	2,450	**2,450**
ცვეთის ხარჯი	(3,343)	(374)	**(3,717)**
იჯარის მოდიფიკაცია	186	-	**186**
სხვა	301	-	**301**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**19,759**	**932**	**20,691**
დამატებები	-	291	**291**
ცვეთის ხარჯი	(3,367)	(558)	**(3,925)**
სხვა	(338)	-	**(338)**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**16,054**	**665**	**16,720**

კომპანიის მიერ აღიარებული იჯარის ვალდებულებები შემდეგია:

ათასი ლარი	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ. 31 დეკემბერი
მოკლევადიანი იჯარის ვალდებულებები	3,523	3,306
გრძელვადიანი იჯარის ვალდებულებები	13,478	16,983
სულ იჯარის ვალდებულებები	**17,001**	**20,289**

2023 წლის ფინანსურ ხარჯებში შესული საპროცენტო დანახარჯი შეადგენს 1,273 ათას ლარს. (2022: 1,592 ათასი ლარი).

10 გადახდილი ავანსი

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი.

ათასი ლარი	**2023**	**2022**
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი	193	288
მოთხოვნებთან შესაბამისობის მომსახურებისთვის გრძელვადიანი გადახდილი ავანსი	1,578	5,265
გრძელვადიანი გადახდილი ავანსები	**1,771**	**5,553**
მოთხოვნებთან შესაბამისობის მომსახურებისთვის მოკლევადიანი გადახდილი ავანსი	3,687	3,687
სხვა მოკლევადიანი გადახდილი ავანსები	2,896	4,809
მოკლევადიანი გადახდილი ავანსები	**6,583**	**8,496**
სულ გადახდილი ავანსები 31 დეკემბერს	**8,354**	**14,049**

მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის სამომავლო გავლენის პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

3 მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდეგში „ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე, როგორც ეს მოდიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით. ქვემოთ მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. წინამდებარე პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის მოითხოვს ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. სფეროების, სადაც მაღალი ხარისხისა და სირთულის განსჯა გამოიყენება, ასევე სფეროების, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (შემდეგში "GEL").

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაყვანიდან, ნასესხები სახსრების გარდა, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის მუხლში, შემოსულობით შემცირებული სავალუტო ზარალის ნაწილში. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი წარდგენილია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში, „საფინანსო შემოსავალი ან საფინანსო ხარჯები “ (შენიშვნები 20,21).

წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული.

2023 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ძირითადი სავალუტო კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ნაშთების გადასაყვანად, გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი (“USD”) 1 = 2.6894 ლარს და ევრო (“EUR”) 1 = 2.9753 ლარს (2022 წ. 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = 2.7020 ლარი და ევრო 1 = 2.8844 ლარი). დღეისათვის ქართული ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის.

ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დადასტურებას, რომელმაც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა გამოსაცემად.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა ფინანსური ბაზრების ვითარების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

როგორც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებიდან ჩანს, კომპანიას გააჩნია სასესხო საშუალებების მაღალი წილი, თუმცა ლიკვიდობის კოეფიციენტები გაუმჯობესდა. ეს იმის გამო ხდება, რომ კომპანიის ნასესხები სახსრების ნაშთი შემცირდა 2023 წლის განმავლობაში. სასესხო საშუალებების მაღალი წილი განპირობებულია იმით, რომ კომპანიას ნასესხები აქვს სახსრები მშობელი კომპანიისგან უვადოდ. კომპანიამ მშობელი საწარმოსგან მიიღო მხარდაჭერის წერილი, რათა დარწმუნდეს, რომ ის გააგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება – იხილეთ შემდგომი ინფორმაცია მე-7 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები – იხილეთ შემდგომი ინფორმაცია მე-8 შენიშვნაში.

აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა –იხილეთ შემდგომი ინფორმაცია მე-9 შენიშვნაში.

გაგრძელებისა და შეწყვეტის ოფციონები – იხილეთ შემდგომი ინფორმაცია მე-9 შენიშვნაში.

ოჯარის ვალდებულებების განსასაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები– იხილეთ შემდგომი ინფორმაცია მე-9 შენიშვნაში.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდგომი ახალი სტანდარტები და შესწორებები შევიდა ძალაში 2023 წლის 1 იანვარიდან:

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ -(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12 „მოგების გადასახადები“ -შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისს). 2023 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ვიწრო მასშტაბის ცვლილებები ბასს 12-სთვის „მოგების გადასახადები“. ეს ცვლილება შემოღებულ იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ საერთაშორისო საგადასახადო რეფორმის შედეგად გამოქვეყნებული მეორე კომპონენტის სამოდელო წესების გარდაუვალი დანერგვის საპასუხოდ. ცვლილებები ითვალისწინებს დროებით გამონაკლისს გადავადებული გადასახადების აღიარებისა და გამჟღავნების მოთხოვნისგან, რაც წარმოიქმნება მოქმედი, ან არსებითად ძალაში შესული საგადასახადო კანონმდებლობიდან, რომელიც ახორციელებს მეორე კომპონენტის სამოდელო წესების დანერგვას. ბასს-ის ძალაში შესვლის თარიღის შესაბამისად, კომპანიებს გამონაკლისის გამოყენება დაუყოვნებლივ შეუძლიათ, მაგრამ გამჟღავნების მოთხოვნები საჭიროა წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.

ამ შესწორებების გამოყენებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომელთა გამოყენებაც მანამდე ჯგუფს არ დაუწყია, არის შემდეგი:

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს , შემდგომში შესწორდა 2020 წლის 20 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.). ამ ვიწრო მასშტაბის შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2022 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის მოკლევადიანად თუ გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე საანგარიშგებო თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს). ფინანსური შეთანხმებების არაადეკვატური ან შეცდომაში შემყვანი განმარტებების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნის საპასუხოდ, 2023 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში, რათა მოთხოვნილ იქნას საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების შესახებ განმარტება შენიშვნებში. ეს ცვლილებები მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების განმარტებას შენიშვნებში, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ამ შეთანხმებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკისადმი დაქვემდებარებაზე. განმარტებითი შენიშვნების დამატებითი მოთხოვნების მიზანია მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობის გაზრდა. ცვლილებები გავლენას არ ახდენს აღიარების, ან შეფასების პრინციპებზე, არამედ მხოლოდ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებზე. განმარტებითი შენიშვნების ახალი მოთხოვნები ძალაში იქნება 2024 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს). 2023 წლის აგვისტოში, ბასსს-მა გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რაც დაეხმარება საწარმოებს შეაფასონ ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა და განსაზღვრონ სპოტ სავალუტო კურსი, მაშინ, როდესაც ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა არ არის. საწარმოზე ეს ცვლილება გავლენას ახდენს მაშინ, როდესაც ის ახორციელებს ტრანზაქციას ან ოპერაციას ისეთ უცხოურ ვალუტაში, რომელიც შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით არ არის გაცვლადი. ბასს 21-ში შესწორებები არ ითვალისწინებს დეტალურ მოთხოვნებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს სპოტ სავალუტო კურსი. სანაცვლოდ, ადგენს იმ ფარგლებს, რომლის მიხედვითაც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შესადარისი ინფორმაციის ხელახლა გადაანგარიშება. საჭიროა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თანხების კონვერტირება თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის შეფასებული სპოტ სავალუტო კურსით, გაუნაწილებელი მოგების კორექტირებით, ან კუმულაციური საკურსო სხვაობების რეზერვში. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვასთან, ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსულობის ან ზარალის აღიარება, მაშინ, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

არსებითი საღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და განსჯა საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ოპერაციებს ახორციელებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ. 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	21,377	15,122
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	43	147
ნასესხები სახსრები**	უშუალო მშობელი კომპანია	46,198	53,440

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2023	2022
მომსახურების გაყიდვა*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	201,132	172,662
საპროცენტო ხარჯი**	უშუალო მშობელი კომპანია	2,975	1,252

კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულ მხარეებთან ხორციელდება. კერძოდ:

მომსახურების გაყიდვები. კომპანია მომსახურებას ეწევა შპს Evolution Malta Limited-თან (შენიშვნა 17) და შპს Evolution Gaming Malta -სთან(შენიშვნა 17) გაფორმებული „მომსახურების შეთანხმების“ ფარგლებში , რომლითაც განისაზღვრება ასევე გარიგების ფასი. მხოლოდ შპს Evolution Malta Limited და შპს Evolution Gaming Malta წარმოადგენენ კომპანიის მომსახურების მომხმარებლებს.

*** ნასესხები სახსრები.* კომპანიამ 2017 წელს Evolution Malta Ltd-თან სასესხო ხელშეკრულებას და მის დანართს 2019 წლის 2 იანვარს მოაწერა ხელი, რაც, მას EUR 20,000 ათასის ოდენობით ფულადი სახსრების სესხად აღების საშუალებას აძლევს. ამ ფინანსური ვალდებულების საპროცენტო განაკვეთია წლიური 2%, მიმატებული 12-თვიანი EURIBOR (თუ EURIBOR უარყოფითი არ არის). 2022 წლის 1 ნოემბერს, შპს Evolution Malta Limited-თან და შპს Evolution Malta Holding Limited-თან შეთანხმების საფუძველზე, შპს Evolution Malta Limited-მა სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა მისი

უფლება გადასცა შპს Evolution Malta Holding Limited-ს, ისე, რომ კომპანიის დაუფარავ ვალი შპს Evolution Malta Limited-ის მიმართ, მიღებული იქნება შპს Evolution Malta Holding Limited-ის მიერ.

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. კომპანიის მთავარი ხელმძღვანელი პირები, რომლებიც წარმოდგენილია ორი დირექტორით, არიან დირექტორთა საბჭოს წევრები ჯგუფის დონეზე და ანაზღაურებას იღებენ ჯგუფისგან, შესაბამისად.

8 ძირითადი საშუალებები

არსებითი საღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. ძირითადი საშუალებები მოიცავს მომავალში ძირითადი საშუალების სახით გამოყენების მიზნით მშენებარე აქტივებს.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების მუხლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა გადანაწილდეს მათი ღირებულება ნარჩენ ღირებულებებზე მათი შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
სტუდიის ტექნიკური მოწყობილობები	2-დან 5-მდე
სერვერები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა მოწყობილობები	1-დან 7-მდე
საოფისე ავეჯი და სხვა მოწყობილობები	2-დან 5-მდე
საიჯარო გაუმჯობესებები	სასარგებლო მომსახურების ვადასა და საბაზისო იჯარის ხანგრძლივობას შორის უმცირესი

კომპანიის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები, როგორც წესი, უმნიშვნელოა და ითვლება ნულად.

მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და განსჯა საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განსახიერებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი პირველადი ფაქტორები:(a) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (b) მოსალოდნელი ცვეთა/გაფუჭება, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ექსპლუატაციის პროგრამაზე; და (c) საბაზრო პირობების ცვლილებებისგან წარმოქმნილი ტექნიკური თუ კომერციული მოძველება.

დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადები რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული დაშვებებისგან 10%-ით, 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის გაუფასურებაზე გავლენა იქნებოდა მისი 1,391 ათასი ლარით ზრდა ან 1,138 ათასი ლარით შემცირება. (2022 : 1,511 თასი ლარით ზრდა ან 1,236 ათასი ლარით შემცირება).

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ათასი ლარი	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სტუდიის ტექნიკური მოწყობილობები	სერვერები და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიური მოწყობილობები	საოფისე ავეჯი და სხვა მოწყობილობები	CIP* და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება 2022 წ. 1 იანვარს	41,011	19,406	8,095	6,273	926	75,711
დაგროვილი ცვეთა	(7,585)	(9,032)	(4,356)	(3,096)	-	(24,069)
საბალანსო ღირებულება 2022 წ. 1 იანვარს	**33,426**	**10,374**	**3,739**	**3,177**	**926**	**51,642**
დამატებები	3,798	3,325	798	1,535	4,464	13,920
გასვლა	-	(317)	(12)	(337)	(412)	(1,078)
ტრანსფერი	1,533	378	105	384	(2,400)	-
ცვეთის ხარჯი	(5,640)	(4,770)	(1,492)	(1,695)	-	(13,597)
ცვეთა გასვლისას	-	194	9	291	-	494
საბალანსო ღირებულება 2022 წ. 31 დეკემბერს	**33,117**	**9,184**	**3,147**	**3,355**	**2,578**	**51,381**
თვითღირებულება 2022 წ. 31 დეკემბერს	46,340	22,810	8,988	7,859	2,578	88,575
დაგროვილი ცვეთა	(13,223)	(13,626)	(5,841)	(4,504)	-	(37,194)
საბალანსო ღირებულება 2022 წ. 31 დეკემბერს	**33,117**	**9,184**	**3,147**	**3,355**	**2,578**	**51,381**
დამატებები	1,866	1,768	271	1,205	1,675	6,785
გასვლა	(308)	(595)	(178)	(715)	(30)	(1,826)
ტრანსფერი	3,273	25	-	749	(4,047)	-
ცვეთის ხარჯი	(6,102)	(4,421)	(1,162)	(1,951)	-	(13,636)
ცვეთა გასვლისას	-	479	65	614	-	1,158
საბალანსო ღირებულება 2023 წ. 31 დეკემბერს	**31,846**	**6,440**	**2,143**	**3,257**	**176**	**43,863**
თვითღირებულება 2023 წ. 31 დეკემბერს	51,173	23,990	9,079	9,094	176	93,513
დაგროვილი ცვეთა	(19,327)	(17,550)	(6,936)	(5,837)	-	(49,650)
საბალანსო ღირებულება 2023 წ. 31 დეკემბერს	**31,846**	**6,440**	**2,143**	**3,257**	**176**	**43,863**

(*) დაუმთავრებელი მშენებლობა 2023 წლის 31 დეკემბერს მოიცავდა სტუდიების მშენებლობასა და დაქირავებული შენობების რემონტს.

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილი აქტივების მთლიანი საწყისი ღირებულება იყო 15,785 ათასი ლარი და 6,444 ათასი ლარი, შესაბამისად, რაც შეყვანილია ძირითად საშუალებებში.

9 აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

აქტივების გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს ოფისს და სტუდიის შენობებს. ხელშეკრულებები შეიძლება მოიცავდეს ორივეს, საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს. იჯარიდან წარმოქმნილი აქტივები თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივების გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს იჯარის ვალდებულების საწყისი შეფასების თანხას, იჯარის გადახდებს, რომლებიც განხორციელდა დაწყების თარიღამდე ან მისი დაწყებისას, შემცირებული საიჯარო წამახალისებლებით და ნებისმიერი საწყისი პირდაპირი ხარჯებით.

აქტივების გამოყენების უფლების მუხლების გაუფასურება გამოითვლება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	8-დან 9 წლამდე
ბაზისო სადგური	6 წელი

იჯარის ვალდებულებები. იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები მოიცავს შემდეგი იჯარის გადახდების წმინდა დღევანდელ ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები), , შემცირებული ნებისმიერი მისაღები საიჯარო წამახალისებლებით.
- იჯარის შეწყვეტის ჯარიმების გადახდები, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ ამ ოფციონის გამოყენებას.

გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები შეყვანილია კომპანიის ყველა იჯარაში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივების მართვასთან დაკავშირებით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საპროცენტო განაკვეთებს, რომლებიც მორგებულია კომპანიის იჯარის სპეციფიკას, მაგალითად ვადა, ვალუტა, მიზანი.

ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში, რათა წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე ყოველი პერიოდისთვის.

გადახდები, რომლებიც ასოცირებულია ძირითადი საშუალებების მოკლევადიან იჯარებთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი, მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლებსაც გააჩნიათ 12 თვიანი ან ნაკლები საიჯარო ვადა.

მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და განსჯა საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

აქტივების გამოყენების უფლების გაუფასურება. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალიწსინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი (ან შეწყვეტის ოფციონის შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები. გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები შეყვანილია კომპანიის ყველა იჯარაში. ისინი გამოიყენება კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვასთან დაკავშირებული ოპერაციული მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი (ან შეწყვეტის ოფციონის შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). შენობა-ნაგებობების იჯარებისთვის, ჩვეულებრივ ყველაზე შესაბამისი შემდეგი ფაქტორებია:

- თუ არსებობს შეწყვეტაზე (ან არ გაგრძელებაზე) მნიშვნელოვანი ჯარიმები, ჩვეულებრივ, კომპანიას გონივრული რწმუნება გააჩნია გააგრძელოს (ან არ შეწყვიტოს იჯარა).
- თუ მოსალოდნელია, რომ რაიმე საიჯარო გაუმჯობესებას გააჩნია მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, კომპანიას აქვს გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (ან არ შეწყვეტაზე).
- სხვაგვარად, კომპანია ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, მათ შორის ისტორიული იჯარის განგრძობითობას და ხარჯებს და იჯარით გაცემული აქტივის ჩასანაცვლებლად წარმოების ნორმალური სვლის რღვევას.

იჯარის პირობა გადაფასდება თუ ოფციონი გამოიყენება (ან არ გამოიყენება) ან კომპანია ვალდებული ხდება, რომ ის გამოიყენოს (ან არ გამოიყენოს).

იჯარის გარანტიების განსასაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. კომპანია იყენებს მისი ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს, როგორც დისკონტირების განაკვეთის გამოთვლის საფუძველს, იმიტომ, რომ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი არ შეიძლება ადვილად განისაზღვროს.

2022 წლის 31 დეკემბერს დისკონტირების განაკვეთში 10%-იანი ზრდა ან შემცირება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიწვევდა იჯარის ვალდებულებებში ზრდას ან შემცირებას 166 ათასი ლარის ოდენობით (2022 წლის 31 დეკემბერი: 359 ათასი ლარი).

კომპანია იჯარით იღებს ოფისს, სტუდიის ფართებსა და პირდაპირი ტრანსლაციისთვის საბაზისო სადგურს. ქირავნობის ხელშეკრულებები, როგორც წესი, იდება ფიქსირებულ პერიოდებზე- 8-დან 10 წლამდე, მაგრამ შესაძლებელია გააჩნდეს გაგრძელების შესაძლებლობაც.

ათასი ლარი	შენობა-ნაგებობები	საბაზისო სადგური	სულ
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**22,615**	**2,076**	**24,691**
დამატებები	-	1,115	**1,115**
გასვლები	-	(4,335)	**(4,335)**
დაგროვილი ცვეთა გასვლისას	-	2,450	**2,450**
ცვეთის ხარჯი	(3,343)	(374)	**(3,717)**
იჯარის მოდიფიკაცია	186	-	**186**
სხვა	301	-	**301**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**19,759**	**932**	**20,691**
დამატებები	-	291	**291**
ცვეთის ხარჯი	(3,367)	(558)	**(3,925)**
სხვა	(338)	-	**(338)**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**16,054**	**665**	**16,720**

კომპანიის მიერ აღიარებული იჯარის ვალდებულებები შემდეგია:

ათასი ლარი	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ. 31 დეკემბერი
მოკლევადიანი იჯარის ვალდებულებები	3,523	3,306
გრძელვადიანი იჯარის ვალდებულებები	13,478	16,983
სულ იჯარის ვალდებულებები	**17,001**	**20,289**

2023 წლის ფინანსურ ხარჯებში შესული საპროცენტო დანახარჯი შეადგენს 1,273 ათას ლარს. (2022: 1,592 ათასი ლარი).

10 გადახდილი ავანსი

არსებითი საღრიცხვო პოლიტიკა

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი.

ათასი ლარი	2023	2022
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი	193	288
მოთხოვნებთან შესაბამისობის მომსახურებისთვის გრძელვადიანი გადახდილი ავანსი	1,578	
		5,265
გრძელვადიანი გადახდილი ავანსები	**1,771**	**5,553**
მოთხოვნებთან შესაბამისობის მომსახურებისთვის მოკლევადიანი გადახდილი ავანსი	3,687	3,687
სხვა მოკლევადიანი გადახდილი ავანსები	2,896	4,809
მოკლევადიანი გადახდილი ავანსები	**6,583**	**8,496**
სულ გადახდილი ავანსები 31 დეკემბერს	**8,354**	**14,049**

2022 წლის 30 მაისს კომპანიამ გააფორმა მოთხოვნებთან შესაბამისობის მიმდინარე ხელშეკრულება Random Systems Georgia-სთან „ლატარიების, აზარტული თამაშების და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. 2022 წლის 28 ივნისს კომპანიამ ავანსად გადაიხადა 12,981 ათასი ლარი Random Systems Georgia-ს მოთხოვნებთან შესაბამისობის სამწლიანი მომსახურებისთვის.

მოთხოვნებთან შესაბამისობის მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები წარმოადგენს წრფივი მეთოდის საფუძველზე ხარჯებს, რომლებიც გაწეულია შესაბამისი მომსახურების მიღებისთანავე.

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული ზარალის ანარიცხებით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისათვის ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას იყენებს, რომელიც გულისხმობს დაფარვის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნების დაჯგუფება ხდება მათი საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე (მოთხოვნების დაჯგუფება შესაძლებელია გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქციის სახეობის, მომხმარებლის რეიტინგის, უზრუნველყოფისა და სავაჭრო საკრედიტო დაზღვევის მიხედვით).

ათასი ლარი

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან (შენიშვნა 7)	21,377	15,122
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**21,377**	**15,122**

სავაჭრო მოთხოვნები დენომინირებულია ევროში და წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის უმნიშვნელო იყო.

სულ სავაჭრო და სხვა ფინანსური დავალიანებების ნაშთები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს არც ვადაგადაცილებული იყო და არც გაუფასურებული. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების ნაშთის საკრედიტო ხარისხი მაღალია, ხოლო მოსალოდნელი საკრედიტო რისკი კი დაბალი.

12 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით

ათასი ლარი

	2023	2022
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	23,989	14,543
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**23,989**	**14,543**

2023 წლის 31 დეკემბერს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მთლიანი ნაშთიდან 23,817 ₾ (2022: ₾ 13,042) გამოსახული იყო ევროში, დანარჩენი ნაშთები გამოსახული იყო ლარში და აშშ დოლარში.

31 დეკემბერს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების შეჯამება შემდეგნაირად შეიძლება Fitch-ის რეიტინგის მიხედვით:

ათასი ლარი

	2023	2022
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული		
- BB- რეიტინგი	-	14,543
- BB რეიტინგი	23,667	-
- AA რეიტინგი	322	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	**23,989**	**14,543**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები შეყვანილია პირველ ეტაპში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ ნაშთებისთვის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნულია.

13 საწესდებო კაპიტალი

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის ასოცირების წესდებით და გამოსახულია ნომინალური ღირებულებით, ერთი ლარი. კომპანიის ასოცირების წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, მფლობელებისა და სხვა ცვლილება) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

2017 წლის 29 მაისის ასოციაციის წესდების თანახმად, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1 ლარით.

14 ნასესხები სახსრები

არსებითი საღრიცხვო პოლიტიკა

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება ოპერაციისთვის გაწეული ხარჯი და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ათასი ლარი

	2023	2022
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრები (მე-7 შენიშვნა)	46,198	53,440
სულ ნასესხები სახსრები 31 დეკემბერს	**46,198**	**53,440**

ნასესხები სახსრების მთლიანი თანხა მოპოვებულია შპს Evolution Malta Holding Limited – სგან და დენომინირებულია ევროში საპროცენტო განაკვეთით 2%+12 თვიანი EURIBOR . 2020 წლის 2 იანვრით დათარიღებული ზოგადი სასესხო ხელშეკრულების ცვლილების თანახმად, დაფარვის ვადა შეიცვალა 2021 წლის 31 დეკემბრიდან განუსაზღვრელი ვადით და შედეგად, მთლიანი ნასესხები სახრსები კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი.

კომპანიის ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განმარტებულია მე-24 შენიშვნაში.

15 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განმარტებულია იმ ვალდებულებების ანალიზი, რომელიც საფინანსო საქმიანობიდან არის წარმოქმნილი და ასევე ასახავს კომპანიის საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების მოძრაობას ყველა წარდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები წარმოადგენს იმ მუხლებს, რომლებიც ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში მოხსენებულია როგორც საფინანსო:

ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	იჯარის ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**70,582**	**27,398**	**97,980**
ფულადი ნაკადები			
ძირი თანხის დაფარვა	(6,578)	(3,146)	**(9,724)**
პროცენტის გადახდები	(433)	(1,592)	**(2,025)**
უნაღდო ცვლილებები			
პროცენტის დარიცხვები	1,252	1,592	**2,844**
ახალი იჯარები	-	1,070	**1,070**
სავალუტო კორექტირებები	(11,191)	(3,028)	**(14,219)**
იჯარის შეწყვეტა	-	(2,535)	**(2,535)**
სხვა	(192)	530	**338**
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**53,440**	**20,289**	**73,729**
ფულადი ნაკადები			
ძირი თანხის დაფარვა	(4,623)	(3,274)	**(7,897)**
პროცენტის გადახდები	(7,149)	(1,273)	**(8,422)**
უნაღდო ცვლილებები			
პროცენტის დარიცხვები	2,975	1,273	**4,248**
ახალი იჯარები	-	291	**291**
სავალუტო კორექტირებები	1,555	33	**1,588**
სხვა	-	(338)	**(338)**
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**46,198**	**17,001**	**63,199**

16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

არსებითი საღრიცხვო პოლიტიკა

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში. იგი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ათასი ლარი	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	696	952
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	1,221	1,339
სულ ფინანსური ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ამორტიზირებული ღირებულებით	**1,917**	**2,291**
დაქირავებული თანამშრომლების გასამრჯელოების დარიცხული ხარჯი	11,311	11,846
სულ, სხვა ვალდებულებები	**11,311**	**11,846**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**13,228**	**14,137**

17 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

არსებითი საღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება. კომპანია ამონაგებს აწარმოებს ლაივ კაზინოს B2B ლაივ სტრიმინგის საშუალებით. საერთოდ, კომპანია მოვალესთვის ანაზღაურებას ახორციელებს ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში

მომსახურების გაყიდვა. კომპანია მომსახურებას ეწევა Evolution Malta Ltd-სთან ხელმოწერილი „მომსახურების შეთანხმების“ ფარგლებში (შენიშვნა 1), რომელიც მიჩნეულია, რომ არის შესრულების ერთადერთი მოვალეობა. ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება, რადგან მომხმარებელი კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების შედეგად სარგებელს იღებს და იმავდროულად მოიხმარს მას.

კომპანია იყენებს მოდელს, თვითღირებულებას მიმატებული ფასნამატი, რომლის მიხედვით ამონაგები გამოითვლება ყოველთვიურ საფუძველზე, როგორც პირველ შენიშვნაში აღნიშნულ მომსახურების გაწევასთან გონივრულად დაკავშირებული მთლიანი დანახარჯები, გამრავლებული ფიქსირებული ფასნამატის პროცენტზე, რომელიც განსზღვრულია „შეთანხმებით მომსახურების შესახებ“. სავალუტო ზარალი ანაზღაურებადია ფასნამატის გარეშე, ხოლო სავალუტო შემოსულობა გამოქვითვადია ყოველთვიური ანგარიშფაქტურიდან.

კომპანიის მთლიანი ამონაგები მოიცავს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ამონაგებს, რომელიც დროთა განმავლობაში აღიარდება. იხილეთ შენიშვნები 1 და 7.

ათასი ლარი	2023	2022
დროთა განმავლობაში აღიარებული მომსახურების რეალიზაცია	201,132	172,662
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**201,132**	**172,662**

18 სტუდიასთან დაკავშირებული ხარჯები

ათასი ლარი	2023	2022
დილერების უნიფორმები	3,005	3,203
სტუდიისთვის განკუთვნილი ბანქო	1,805	1,757
სტუდიის ინტერიერის მარაგები	1,735	2,328
სხვა	132	153
სულ სტუდიასთან დაკავშირებული ხარჯები	**6,677**	**7,441**

19 სხვა შემოსულობა/(ზარალი), ნეტო

ათასი ლარი	2023	2022
პერსონალის გართობა	2,052	1,287
უსაფრთხოების მომსახურება	813	783
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	449	442
ლიცენზიის საფასური	354	209
საფოსტო, სატვირთო, გადაზიდვები და დაზღვევა	150	154
სადაზღვევო ხარჯები	131	104
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	81	161
შემოწირულობები და საჩუქრები	57	110
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	56	92
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები	45	58
სამედიცინო მასალები პერსონალისთვის	-	1,306
პროცენტი და ჯარიმები	-	714
სხვა	381	447
სულ, სხვა შემოსულობები/(ზარალი),ნეტო	**4,569**	**5,867**

20 საფინანსო შემოსავალი

ათასი ლარი	2023	2022
სავალუტო შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან, ნეტო	-	11,191
საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტიდან მიღებული შემოსულობა	-	650
სულ მოგებაში ან ზარალში აღიარებული საფინანსო შემოსავალი	**-**	**11,841**

21 საფინანსო ხარჯი

ათასი ლარი	2023	2022
საპროცენტო ხარჯი	2,975	1,252
სავალუტო ზარალი ნასესხებ სახსრებზე, ნეტო	1,555	-
ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯი	1,273	1,592
სულ მოგებაში ან ზარალში აღიარებული საფინანსო ხარჯები	**5,803**	**2,844**

22 მოგების გადასახადი

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, დაუყოვნებლივ დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“.

23 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო გაუთვალისწინებელი მოვლენები . საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მრავალი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება.

საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც რჩება ღია. აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში წარმოქმნას საგადასახადო რისკები, რომელიც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში. საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ 2021 წელს ჩატარებული ბოლო საგადასახადო შემოწმების შედეგად, კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 1,981 ათასი ლარის ოდენობით, შპს „ევოლუშენ ჯორჯიამ“ გააფორმა ხელშეკრულება საქართველოს შემოსავლების სამსახურთან და შეთანხმდა, რომ 9% ფასნამატი მისაღებია მომდევნო წლებისთვის: 2022, 2023, 2024. საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო შემოწმება 2023 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადსახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში

სასამართლო დავა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღით კომპანიის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი არ არის რაიმე ფაქტობრივი ან მოსალოდნელი სასამართლო დავის საფრთხის შესახებ, ანუ ფინანსური ანგარიშგების თარიღით არ არსებობს სასამართლო დავის საფრთხე, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ინფორმირებულობა და ზრუნვა კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ გამოეხმაურება მათ კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

24 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის, თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პარტნიორებთან ოპერაციების განხორციელების შედეგად, რაც გამომდინარეობს ძირითადად კომპანიის მომხმარებლების მოთხოვნებისგან.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა გულდასმით მართავს საკრედიტო რისკს.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და მოიცავს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და დროის გასვლის მიხედვით. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტის დადგომის ალბათობის დამატებით შეფასებებს, დაკავშირებულ ზარალის კოეფიციენტებისა და პარტნიორების დეფოლტის კორელაციებს.

ზღვრები. როგორც შენიშვნებში 1 და 7 არის ნაჩვენები, კომპანიას ერთადერთი მომხმარებელი ჰყავს- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო – Evolution Malta Ltd-ის სახით. ანგარიშსწორების შეღავათიანი პერიოდია 30 დღე ანგარიშ-ფაქტურის თარიღიდან და 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბერს მთლიანი მოთხოვნების ნაშთები წარმოადგენდა მოთხოვნებს ამ კონკრეტული წლის ბოლო ანგარიშ-ფაქტურებისთვის. კომპანიას არა აქვს საკრედიტო ზარალის ისტორია. კომპანიის ხელმძღვანელობასთან ერთად მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგში კომპანიის ხელმძღვანელობაც მონაწილეობს. სავაჭრო მოთხოვნებისთვის უზრუნველყოფა არ მოითხოვება.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფებისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	2023	2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 11)		
- სავაჭრო მოთხოვნები	21,377	15,122
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები *(შენიშვნა 12)*		
- მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	23,989	14,543
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი 31 დეკემბერს	**45,366**	**29,665**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება (ECL). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეიტინგი ემყარება გაყიდვების გადახდების პროფილს 24 თვეზე მეტ პერიოდზე 2023 წლის 31 დეკემბრამდე ან, შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრამდე, ასევე შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში. ისტორიული ზარალის რეიტინგები კორექტირებულია იმ მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვისთვის, რომელიც ეხება მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს კლიენტების უნარზე, დაფარონ მოთხოვნები. ისტორიული საკრედიტო ზარალი წინასწარგანსაზღვრულ პერიოდში არ არსებობდა. ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია მაკროეკონომიკური ფაქტორები შემდგომი ანალიზისთვის, რადგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც ეფუძნება არარსებული საკრედიტო ზარალის სტატისტიკას, უმნიშვნელო იქნებოდა.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო განაკვეთებთან და (გ) წილობრივ პროდუქტებთან რომელთაგან ყველას აქვს საბაზრო ცვლილებების საერთო და სპეციფიკური რისკები. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო კურსის რისკი თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2023 წ. 31 დეკემბერი			2022 წ. 31 დეკემბერი		
ათასი ლარი	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
ქართული ლარი	148	(1,370)	(1,222)	1,500	(2,045)	(545)
აშშ დოლარი	1,428	(16,545)	(15,117)	1,425	(19,395)	(17,970)
ევრო	45,194	(47,201)	(2,007)	28,165	(54,580)	(26,415)
სულ	**46,770**	**(65,116)**	**(18,346)**	**31,090**	**(76,020)**	**(44,930)**

შემდეგი ცხრილი ასახავს მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გამოყენებული გაცვლითი კურსების გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, ხოლო ყველა სხვა ცვლადი რჩება უცვლელი :

	2023 წ. 31 დეკემბერი		2022 წ. 31 დეკემბერი	
ათასი ლარი	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(3,023)	(3,023)	(3,594)	(3,594)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	3,023	3,023	3,594	3,594
ევროს გამყარება 20%-ით	(401)	(401)	(5,283)	(5,283)
ევროს გაუფასურება 20%-ით	401	401	5,283	5,283

რისკი გამოთვლილია მხოლოდ კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში გამოსახული ფულადი ნაშთებისთვის.

კომპანიაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროსთან დაკავშირებული სავალუტო კურსების ცვლილებები. ეს ძირითადად განპირობებულია ნასესხები სახსრების მნიშვნელოვანი ნაშთით, რომელიც ევროშია გამოსახული. კომპანია აღნიშნულ რისკს შემდეგნაირად მართავს: (i) ამონაგების ინვოისები ევროში გამოისახება, ამგვარად, მოთხოვნა ევროთი იფარება; (ii) ძირითადი საშუალებების შესყიდვის ძირითადი ხელშეკრულებები ევროშია გამოსახული; და სხვა.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიის წინაშეა ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის გავლენის რისკი. საპროცენტო მარჟები შეიძლება გაიზარდოს მსგავსი ცვლილებების გამო, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან ზარალი წარმოიქმნას მოულოდნელი ცვლილებების შედეგად.

ხელმძღვანელობა ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს და აწესებს ზღვრებს საპროცენტო განაკვეთის იმ ცვლილების შეუსაბამობის დონეზე, რომელიც შესაძლებელია განხორციელებული იყოს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში აგრეგირებულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და დაჯგუფებულია საპროცენტო განაკვეთის ხელახლა განსაზღვრის ან დაფარვის ვადის ამოწურვის თარიღების გათვალისწინებით:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-6 თვე	6-12 თვე	1 წელზე მეტი	არაფულადი	სულ
2023 წ. 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	45,366	-	-	1,404	-	46,770
სულ ფინანსური ვალდებულებები	(48,413)	(1,531)	(1,694)	(13,478)	-	(65,116)
საპროცენტო მგრძნობელობის წმინდა სხვაობა 2023 წ. 31 დეკემბერს	**(3,047)**	**(1,531)**	**(1,694)**	**(12,074)**	**-**	**(18,346)**
2022 წ. 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	29,665	-	-	1,425	-	31,090
სულ ფინანსური ვალდებულებები	(55,997)	(1,378)	(1,830)	(16,815)	-	(76,020)
საპროცენტო მგრძნობელობის წმინდა სხვაობა 2022 წ. 31 დეკემბერს	**(26,332)**	**(1,378)**	**(1,830)**	**(15,390)**	**-**	**(44,930)**

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანიის წინაშეა ფინანსურ ვალდებულებების ანგარიშსწორებისთვის ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებასთან დაკავშირებული რისკი. ლიკვიდობის რისკის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიდგომაა იმის უზრუნველყოფა, რომ რამდენადაც შესაძლებელია, ყოველთვის ჰქონდეს ლიკვიდობა თავისი ვალდებულებების დასაფარად, ანგარიშსწორების თარიღის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ისე სტრესულ პირობებში, გაუმართლებელი ზარალის მიღებისა და კომპანიის რეპუტაციის შელახვის რისკის ქვეშ დაყენების გარეშე.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებას. ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბერს, დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადის მიხედვით. ცხრილში ნაჩვენებია არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხა ფიქსირებული არ არის, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ვითარების გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადასახდელი თანხები გადაყვანილია სპოტ სავალუტო კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14)	46,198	-	-	-	-	46,198
იჯარის ვალდებულებები (შენიშვნა 9)	399	798	3,399	12,961	2,458	20,015
სავაჭრო ვალდებულება (შენიშვნა16)	696	-	-	-	-	696
სხვა ფინანსური ვალდებულება (შენიშვნა16)	1,221	-	-	-	-	1,221
სულ სამომავლო გადახდები, პროცენტისა და ძირითადი თანხის ჩათვლით	**48,514**	**798**	**3,399**	**12,961**	**2,458**	**68,130**

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14)	53,440	-	-	-	-	53,440
იჯარის ვალდებულებები (შენიშვნა 9)	385	771	3,471	17,335	2,427	24,389
სავაჭრო ვალდებულება (შენიშვნა16)	952	-	-	-	-	952
სხვა ფინანსური ვალდებულება (შენიშვნა16)	1,339	-	-	-	-	1,339
სულ სამომავლო გადახდები, პროცენტისა და ძირითადი თანხის ჩათვლით	**56,116**	**771**	**3,471**	**17,335**	**2,427**	**80,120**

25 კაპიტალის მართვა

კომპანიას კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა არ აქვს, მაგრამ ცდილობს საკმარისი კაპიტალის ბაზა შეინარჩუნოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებებისთვის. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით და კომპანიის ამონაგების მუდმივი მონიტორინგით. კაპიტალის მართვის მიდგომასთან დაკავშირებით ცვლილება არ მომხდარა წლის განმავლობაში. კომპანია არ ექვემდებარება გარედან განსაზღვრულ კაპიტალის მოთხოვნებს. კაპიტალის ოდენობა, რომელსაც კომპანია მართავდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო 48,157 ათასი ლარი (2022: 33,899 ათასი ლარი).

26 სამართლიანი ღირებულების განმარტება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია).

ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება გამჟღავნებულია

აქტივების სამართლიანი ღირებულებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არ არის:

	2023 წ. 31 დეკემბერი				2022 წ. 31 დეკემბერი			
ათასი ლარი	1-ლი დონის სამართლიანი ღირებულება	მე-2 დონის სამართლიანი ღირებულება	მე-3 დონის სამართლიანი ღირებულება	*საბალანსო ღირებულება*	1-ლი დონის სამართლიანი ღირებულება	მე-2 დონის სამართლიანი ღირებულება	მე-3 დონის სამართლიანი ღირებულება	*საბალანსო ღირებულება*
აქტივები								
სხვა ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 12)	-	23,989	-	23,989				
- სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 11)	-	21,377	-	21,377	-	14,543	-	14,543
- სხვა ფინანსური მოთხოვნები (შენიშვნა 11)	-	1,404	-	1,404	-	15,122	-	15,122
					-	1,425	-	1,425
სულ აქტივები	**-**	**46,770**	**-**	**46,770**	**-**	**31,090**	**-**	**31,090**

26 სამართლიანი ღირებულების განმარტება (გაგრძელება)

იმ ვალდებულებების, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ანალიზი, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

	2023 წ. 31 დეკემბერი				2022 წ. 31 დეკემბერი			
ათასი ლარი	1-ლი დონის სამართლიანი ღირებულება	მე-2 დონის სამართლიანი ღირებულება	მე-3 დონის სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონის სამართლიანი ღირებულება	მე-2 დონის სამართლიანი ღირებულება	მე-3 დონის სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები								
ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარეებისგან (შენიშვნა 14)	-	-	46,198	46,198	-	-	53,440	53,440
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 16)	-	-	696	696	-	-	952	952
- დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები (შენიშვნა 16)	-	-	1,221	1,221	-	-	1,339	1,339
სულ ვალდებულებები	**-**	**-**	**48,115**	**48,115**	**-**	**-**	**55,731**	**55,731**

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-2 დონის სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, სამართლიანი ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. იმ ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც დასაფარია მოთხოვნამდე ან შეტყობინების შემდგომ პერიოდში („მოთხოვნადი ვალდებულებები“) შეადგენს მოთხოვნამდე გადასახდელ თანხას, დისკონტირებულს იმ პირველი თარიღიდან, როდესაც თანხის გადახდა შესაძლოა მოთხოვნილი იყოს.

27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე არ გამოვლენილა რაიმე მოვლენა, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მმართველობის ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია მოკლედ

ჩვენი ბიზნეს მოდელი, ხედვა და სტრატეგია

ჩვენი ბაზარი

ჩვენი გლობალური სტუდიები

რეგულაცია

ჩვენი ონლაინ კაზინოს ოპერირება

ჩვენი თამაშების პორტფელი

ანგარიშგება მდგრადობის შესახებ

ფინანსური მონაცემები

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავ
ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინ
მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულ
მოიცავს კომპანიის როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომა
დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია, კომპანიის
განვითარების პოტენციალის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. აღ
დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები
კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული სტანდარტ

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „ევოლუშენ ჯო
2017 წლის 29 მაისს დაფუძნდა და აწარმოებს საქმიანობას
საქართველოში. კომპანია რეგისტრირებულია საქართველო
რეგულაციების მიხედვით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ
სააგენტოს მიერ რეგისტრაციის ნომრით : 405209689.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უმუ
მშობელი კომპანია იყო შპს Evolution Malta Holding Limited,
შემდგომში „მშობელი კომპანია“) და კომპანიას არ ჰყავდა ს
მაკონტროლებელი მხარე.

შპს Evolution Malta Holding Limited ფლობს რამოდენიმე სხვ
კომპანიას მსოფლიოს მასშტაბით, ხოლო მისი მფლობელი
Gaming Group AB (საჯარო), შვედური შპს, რომელიც საფო
ბირჟაზე - Nasdaq Nordic Large Cap - არის რეგისტრირებუ
წლის 5 ივნისიდან. Evolution Gaming Group AB (საჯარო) ე
შემავალი შვილობილი კომპანიები (ჯგუფი) წარმოადგენს
კაზინო (Live Casino) სისტემების წამყვან „ბიზნესი ბიზნეს
(B2B) მომწოდებელს. ჯგუფი ქმნის, აწარმოებს, ბაზარზე წ
და სათამაშო ოპერატორებისთვის გასცემს ლიცენზიებს სრ
ინტეგრირებულ ლაივ კაზინო გადაწყვეტილებებზე. ის მხო
საოპერაციო და განვითარების საქმიანობაშია ჩართული და
ახორციელებს აზარტული თამაშების ოპერირებას.

Evolution Georgia-ს არ აქვს ფილიალები და 2022, 2021, 2020,
და 2017 წლებში არ ყოფილა ჩართული არანაირ კვლევისა ე
განვითარების საქმიანობაში.



ევოლუშენის კორპორაციული მართვის მოდელი



ენი ბიზნეს მოდელი, ხედვა და სტრატეგია

ადაპტირებადი ბიზნეს მოდელით და ბაზარზე
წამყვანი შეთავაზებით, ევოლუშენი ლიდერია
ონლაინ კაზინოს სეგმენტის განვითარების
გზაზე, გლობალურ დონეზე.

ჩვენი ხედვა-ვიყოთ ონლაინ კაზინოს წამყვანი პროვაიდერი მსოფლიოში.
ჩვენი მისია-ჩვენი მისიაა გავხადოთ ოპერატორები წარმატებული და უზრუნველყოფილი იყოს საუკეთესო სათამაშო გამოცდილება მათი საბოლოო მომხმარებლებისთვის



ბიზნეს მოდელი

ევოლუშენი ქმნის და ავითარებს, ბაზარზე წარადგენს და ლიცენზიებს გასცემს სრულად ინტეგრირებულ ლაივ კაზინო გადაწყვეტილებებს აზარტული თამაშების ოპერატორებისთვის. ლაივ კაზინოში, თამაშის წარმდგენი ე.ი. დილერი მართავს თამაშს კაზინოს სათამაშო მაგიდიდან, რომელზე თვალყურის დევნებაც შესაძლებელია რეალურ დროში ვიდეო სტრიმინგის მეშვეობით. საბოლოო მომხმარებლები ე.ი. მოთამაშეები ფსონებს დებენ მათი მოწყობილობების მეშვეობით (კომპიუტერები, სმარტ ტელეფონები, ტაბლეტები და ა.შ.)

ევოლუშენი B2B-ს მომწოდებელია, მისი ლაივ კაზინო პლატფორმა უნიკალურია მის სახეობებში და ფარავს აზარტული თამაშების ოპერატორების მიერ მოთხოვნილ ყველა ასპექტს-თამაშის წარმდგენების და სხვა პერსონალის დაქირავებიდან და მათთვის ტრენინგების ჩატარებიდან დაწყებული სტრიმინგით, წარმოებით, ზედამხედველობით, კლიენტების მომსახურებით და შემდგომი შედეგების შესწავლით დამთავრებული. ოპერატორებს სთავაზობენ სრულად მათზე მორგებულ გადაწყვეტილებას ადაპტირების მაღალი ხარისხით, როგორიცაა სტანდარტული და VIP მაგიდები, გარემოს ვიზუალის კონტროლს და ერთგული დილერების გუნდებს. კომპანიას გააჩნია ძირითადი თამაშების ვრცელი პორტფელი, რაც მოიცავს ორივეს-კლასიკურ სამაგიდო თამაშებსა და ინოვაციურ კაზინო თამაშებს. სხვადასხვა თამაშების ნაირსახეობებიც ხელმისაწვდომია, ანუ ძირითადი თამაშების ვარიაციები ახალი ტექნიკური გადაწყვეტილებებით და ახალი შინაარსით.

კაზინოს სერვისების ლაივ სტრიმინგი ხორციელდება კომპანიის მიერ აშენებული სტუდიების მეშვეობით, იჯარით აღებულ საკუთრებაში. კერძოდ, კომპანიის მიერ დაქირავებული თამაშების წარმდგენები, თამაშებს წარადგენენ კომპანიის სტუდიაში დამონტაჟებული სათამაშო აღჭურვილობის გამოყენებით, რაც ცოცხალი მაუწყებლობის მეშვეობით გადაეცემა შპს Evolution Malta-ს.

ამონაგების მოდელი

კომპანია ოპერირებს "ხარჯი–პლუსი" მეთოდით და კომპანიის ამონაგები პირდაპირ უკავშირდება ზემოაღნიშნული მომსახურების მიწოდებისას გაწეულ ხარჯებს, რაც გაანგარიშებულია როგორც ხარჯს პლუს შეთანხმებული დანახარჯის ზემოთ მიღებული პროცენტი.

2022 წელს შპს ევოლუშენ ჯორჯიამ გააფორმა ცალმხრივი წინასწარი შეთანხმება ოპერაციების შეფასების თაობაზე, რათა წინასწარ განისაზღვროს კრიტერიუმები, რის საფუძველზეც დადგინდება ამ ოპერაციების ფასი, ეს დადგენილება მოქმედებს 2022-2024 წლების განმავლობაში.

ხარჯის სტრუქტურა

ევოლუშენის ყველაზე დიდი ხარჯს წარმოადგენს პერსონალის ხარჯები. პერსონალის ხარჯები უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია პერსონალთან და ოპერაციების ფარგლებში პერსონალის დაქირავებასთან, გრძელვადიანი აქტივების ცვეთასთან, სატელეკომუნიკაციო ხარჯებთან და სხვა ხარჯებთან, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ უკავშირდება ოპერაციებს, როგორიცაა: იჯარა, კომუნალური მომსახურება, კონსულტაცია, მოგზაურობა, საოფისე მასალები და ა.შ.

ზრდა ინოვაციური პროდუქტების მეშვეობით

ევოლუშენი ყოველთვის ცდილობს გაზარდოს მისი კონკურენტული უპირატესობა. უკვე დღეს, ევოლუშენი აშკარა ლიდერია ონლაინ კაზინოს ბაზარზე და მიზნად ისახავს შეინარჩუნოს ზრდის იმპულსი. როგორც ჯგუფი, ჩვენ მზად ვართ შევქმნათ საუკეთესო სათამაშო გამოცდილება ყველა მოთამაშისთვის, როგორც ლაივ კაზინოში, ასევე სლოტებში. ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის თამაშების შექმნა მოთამაშეთა გართობის უმაღლესი ღირებულებით, რისი მიწოდება განსაკუთრებული გზით და უნაკლოდ ხორციელდება. დაარსების დღიდან კომპანიამ წარმატებით ჩაუშვა წარმოებაში ინოვაციური თამაშები და გადაწყვეტილებები, რომლებიც მიმზიდველია როგორც ოპერატორებისთვის, ასევე მათი საბოლოო მომხმარებლებისთვის.

ჩვენი ბაზარი

ონლაინ კაზინო აგრძელებს შესრულების მაღალი მაჩვენებლების დემონსტრირებას სათამაშო ბაზარზე

გლობალური ონლაინ კაზინოს ბაზარი

გლობალური ონლაინ კაზინოს ბაზარი მკვეთრად გაიზარდა ბოლო წლების განმავლობაში და მოსალოდნელია, რომ მომდევნო წლებში კვლავაც იქნება ყველაზე სწრაფად მზარდი სათამაშო სეგმენტი. ევოლუშენის ზრდის მიზანია მთლიანი გლობალური ონლაინ კაზინოს ბაზრის ზრდაზე უფრო სწრაფი ზრდა. ბაზრის ზრდაზე გავლენას ახდენს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, როგორიცაა ტექნოლოგიური მიღწევები, მათ შორის გაუმჯობესებული აპარატურა და გაზრდილი გამტარუნარიანობა, არავირტუალური კაზინოების ონლაინ გარემოში მიგრაცია და ბაზრის რეგულაციები. მობილური მოწყობილობების გაზრდილი გამოყენება მრავალი წლის განმავლობაში იყო ზრდის მამოძრავებელი ძალა და მეოთხე კვარტალში, ევოლუშენის პლატფორმის მეშვეობით, ოპერატორების GGR-ის 69.0 პროცენტი (67.0) გენერირებული იყო მობილური მოწყობილობებით. RNG არის ონლაინ კაზინოს ბაზრის უდიდესი ვერტიკალი. თუმცა, დიდწილად, ზრდას განაპირობებს ლაივ კაზინო, რომელმაც მნიშვნელოვანი გახდა სათამაშო ოპერატორების უმეტესობისთვის და მათთვის ინტეგრირებულ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროდუქტად იქცა

ჩვენი გლობალური სტუდიები

ევოლუშენი თავის მომსახურებას მომხმარებლებს აწვდის ლაივ კაზინოს სტუდიების მეშვეობით ევროპის, კანადისა და აშშ-ის მასშტაბით. ევოლუშენს აქვს სამი ძირითადი საწარმოო სტუდია, რომლებიც ბაზრების უმრავლესობას ემსახურება, როგორც ჰაბები (ცენტრალური ქსელი), სადაც შემოთავაზებულია ევოლუშენის თამაშები. ერთი მდებარეობს რიგაში, ლატვიაში, ერთი ფორტ მრიჰელში, მალტაში, კიდევ ერთი კი თბილისში, საქართველოში.

საწარმოო სტუდია რიგაში არის ევოლუშენის ინოვაციების ცენტრი, სადაც კომპანია ავითარებს, ტესტირებას უტარებს და წარმოებაში უშვებს თავის ახალ თამაშებს. რიგაში ოპერაციები ტარდება ძირითადად ინგლისურენოვანი თამაშების წარმდგენებით, რომლებიც ემსახურებიან როგორც საერთო, ასევე სპეციალურ მაგიდებს. მალტაში ძირითადად არის საერთაშორისო თამაშების წარმდგენი გუნდები, რომლებიც ემსახურებიან მაგიდებს მშობლიურ ენაზე, ისეთ რეგულირებულ ბაზრებზე, როგორიცაა დანია და შვედეთი. თბილისი ევოლუშენის უმსხვილესი ჰაბია, სადაც ინგლისურენოვანი და საერთაშორისო თამაშების წარმდგენი გუნდები მუშაობენ.

უფრო დიდი საწარმოო სტუდიების გარდა, ევოლუშენი ასევე ამუშავებს სტუდიებს ბელგიაში, ლიეტუვაში, რუმინეთში, სომხეთსა და ესპანეთში. ზოგიერთი მათგანი აშენდა აზარტული თამაშების ეროვნული რეგულაციების მოთხოვნების შესასრულებლად, რაც მოითხოვს ფიზიკურად ადგილზე ყოფნას თითოეულ ბაზარზე. ევოლუშენი ასევე ამუშავებს სტუდიებს ევროპის გარეთ, ბრიტანეთის კოლუმბიაში, კანადასა და აშშ-ში, პენსილვანიაში, მიჩიგანში, კონექტიკუტსა და ნიუ ჯერსიში. ევოლუშენი, საერთო ჯამში, ევოლუშენის მომხმარებლებისთვის საქმიანობას ახორციელებს 1600-ზე მეტ მაგიდაზე.

ევოლუშენი, ასევე, ამუშავებს Dual Play მაგიდებს არავირტუალური კაზინოების ტერიტორიებზე გაერთიანებულ სამეფოში, მალტაზე, რუმინეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩვენი გლობალური სტუდიები-ევოლუშენს აქვს 10 სტუდია ევროპაში, 5-აშშ-ში, და 2 კანადაში. სომხეთი, ბელგია, კანადა-ბრიტანეთის კოლუმბია, საქართველო, ლატვია, ლიეტუვა, მალტა, რუმინეთი, ესპანეთი აშშ-კონექტიკუტი, აშშ მიჩიგანი, აშშ ნიუ ჯერსი, აშშ პენსილვანია

რეგულირება

სათამაშო ინდუსტრია რეგულირდება ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე. ბევრ ქვეყანას აქვს რეგულაციები არავირტუალური კაზინოებისთვის, რომლებიც არ გამოიყენება ონლაინ თამაშებზე. ზოგიერთ ქვეყანას აქვს სათამაშო მონოპოლია, სადაც მხოლოდ ერთი ოპერატორის არსებობაა ნებადართული, ზოგმა კი შექმნა სისტემები, რომლებშიც რამდენიმე ოპერატორს შეუძლია ონლაინ თამაშების შეთავაზებისთვის ლიცენზიის აღება. ზოგიერთ შემთხვევაში, სათამაშო ოპერატორები, რომლებიც ლიცენზირებულია ერთ ქვეყანაში, სთავაზობენ თამაშებს სხვა ქვეყნებშიც. სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა ნერგავს ეროვნულ რეგულაციებს. ეს ნიშნავს, რომ სათამაშო ოპერატორებმა და ზოგიერთ

შემთხვევაში პროვაიდერებმაც უნდა მოიპოვონ ქვეყნისთვის სპეციფიკური ლიცენზიები, გადაიხადონ ადგილობრივი გადასახადები და დაექვემდებარონ მონიტორინგს ეროვნულ დონეზე. რეგულაცია, ონლაინ კაზინოს ბაზრისთვის, არის მნიშვნელოვანი ზრდის ფაქტორი, რადგან მას მოჰყავს მეტი პოტენციური საბოლოო მომხმარებელი და აძლევს ოპერატორებს პროდუქტის პოპულარიზაციის დიდ შესაძლებლობებს. ვინაიდან ევოლუშენი წარმოადგენს პროვაიდერს, ახალ კანონმდებლობას, ძირითადად, ირიბი გავლენა ექნება კომპანიაზე.
2022 წელს, ევოლუშენ ჯორჯიამ, ახალი კანონმდებლობის მიხედვით, მოიპოვა ქვეყნისთვის სპეციფიკური ლიცენზიები.



ლიცენზიები

ევოლუშენი ცდილობს იყოს ყველაზე საიმედო ლაივ კაზინოს პროვაიდერი ბაზარზე და ფლობს ყველა ლიცენზიას და სერთიფიკატს, ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია. ევოლუშენი მიზნად ისახავს შეინარჩუნოს უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტები რეგულაციების შესაბამისობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ამ იურისდიქციებში ლიცენზირებული და რეგულირებულია ევოლუშენ ჯგუფის ერთი ან მეტი ბრენდი:

ოლდერნი, ბაჰამები, ბელგია, კურასაო, გიბრალტარი, საქართველო, საბერძნეთი, მენის კუნძული, კანადა-ალბერტა, კანადა-ბრიტანეთის კოლუმბია, კანადა-ატლანტიკ ლოთერის, კანადა-ონტარიო, კანადა კვებეკი, ლატვია, მალტა, რუმინეთი, სამხრეთ ამერიკა, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო, აშშ-კონექტიკუტი, აშშ-მიჩიგანი, აშშ-ნიუ ჯერსი, აშშ-ოკლაჰომა, აშშ - პენსილვანია, აშშ-დასავლეთ ვირჯინია

ჩვენი ონლაინ კაზინო საქმიანობა

ევოლუშენი მომხმარებელს სთავაზობს ლაივ კაზინოს პლატფორმას, რომელიც ერთდროულად გაუმკლავდება აპარატურას, პროგრამულ უზრუნველყოფას, ვიდეოს, თანამშრომლებსა და მომხმარებლის მონაცემებს, რაც ოპერატორებს სთავაზობს ლაივ კაზინოს სრულ შეთავაზებას და საბოლოო მომხმარებლებს უნიკალურ სათამაშო გამოცდილებას.



კომპანია ინვესტიციებს დებს იმ ტექნიკურ პლატფორმაში, რომელიც კომპანიის საქმიანობის საფუძველს ქმნის. ინვესტიციები ეხება სერვერებსა და ადაპტირებულ აღჭურვილობას, როგორიცაა ვიდეო-ჩაწერის მოწყობილობები, ბარათების სკანერები და დილერების კომპიუტერები.

სტაბილურად მყარი, ჰორიზონტალურად მასშტაბირებადი და ძლიერი სხვადასხვა დისციპლინებში, როგორიცაა რეგულირებადი ბაზრების დაფარვა, მომხმარებლების თანმხლები მხარდაჭერა და მახასიათებლების მრავალფეროვნება, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პროდუქტების გასაძლიერებლად და გასაუმჯობესებლად .
კომპანიას გააჩნია სტაბილური და საიმედო ტექნიკური სისტემა, რომელიც ინტეგრირდება სათამაშო ოპერატორების სისტემასთან. ეს ტექნოლოგია შექმნილია იმისათვის, რომ შეძლოს მონაცემების დიდი მოცულობის გამკლავება და ამავდროულად, იყოს მასშტაბირებადი. ევოლუშენმა ასევე შექმნა ვიდეო კოდირების საკუთარი გადაწყვეტა, რომლის მიზანია უზრუნველყოს უწყვეტი ვიდეო სტრიმინგი HD ფორმატით, ან ფორმატში, რომელიც საუკეთესოდ მოერგება საბოლოო მომხმარებლის შესაძლებლობებს. 2023 წელს სისტემის ხელმისაწვდომობა იყო 99,87 პროცენტი, გეგმიური საექსპლუატაციო მხარდაჭერის გათვალისწინების გარეშე.

სისტემის ხელმისაწვდომობა >> **2023: 99.87%**

თამაშების სამართლიანობა

წლის განმავლობაში, ევოლუშენის თამაშებმა შეინარჩუნა მოქმედი, მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი გარემო და ამავე დროს აკმაყოფილებდა საოპერაციო ეფექტურობის და უსაფრთხოების სტანდარტებს, ასევე უზრუნველყოფდა თანამშრომლების უსაფრთხოებას. 2023 წელს თამაშების სამართლიანობისა და რისკების დეპარტამენტმა განაგრძო ახალი, მოწინავე თამაშების მხარდაჭერა რეალურ დროში თამაშის დაცვის ინოვაციური სისტემების დანერგვით, რომელთა უმეტესობა დაფუძნებულია ვიდეო ამოცნობის მოწინავე ტექნოლოგიასა და კომპლექსური ტექნიკის გამართვაზე. მისიის საკონტროლო ოთახი (MCR) არის ევოლუშენის ოპერაციების ცენტრი. MCR პასუხისმგებელია საქმიანობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაზე , სისტემის ხელმისაწვდომობის, უსაფრთხოებისა და მარეგულირებელ შესაბამისობაზე.

თამაშის სამართლიანობის დასაცავად და თაღლითური ქცევის მცდელობების გამოსავლენად, ევოლუშენი ახორციელებს ყველა ჩვენს სათამაშო სივრცეებში სათამაშო აქტივობის მონიტორინგს რეალურ დროში, 24 საათის განმავლობაში, მთელი წელი. მაგიდების, თამაშების, მოცულობებისა და ქცევის მოდელების მონიტორინგი ხდება ავტომატური და ფიზიკური მართვის სისტემების კომბინაციით - ეს ყველაფერი უსაფრთხოების ოპტიმიზაციისა და თაღლითობისგან დაცვის მიზნით. ამ საშუშაოს ხელმძღვანელობს ევოლუშენის თამაშების სამართლიანობისა და რისკების დეპარტამენტი. ყველა მსხვილ სტუდიას აქვს საკუთარი MCR, რომელსაც, თავის მხრივ, შეუძლია სტუდიების მონიტორინგი სხვა ადგილებში, რითაც უზრუნველყოფს ევოლუშენის ბიზნესის მასშტაბირებადობას.

ინდივიდუალური მომსახურება
ლაივ კაზინოს პროდუქტი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია იმ ოპერატორებისთვის, რომლებსაც სურთ მიაღწიონ ბრენდის დიფერენცირებას და მოთამაშეთა მიმართ მათი ერთგულების გაძლიერებას.

ევოლუშენს სრულად სპეციალიზირებული მაგიდებისა და გარემოს შეთავაზების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, სადაც პრაქტიკულად ყველაფერი ინდივიდუალური ოპერატორის პრეფერენციაზე იქნება მორგებული.

გამანწილებელი არხები
ევოლუშენი საბოლოო მომხმარებელს სთავაზობს მარტივ წვდომას ლაივ კაზინო თამაშებზე ყველა ძირითადი პლატფორმის მეშვეობით. ყველა მობილური თამაში ჩაშენებულია HTML5-ში ოპერატორის მობილურ ვებგვერდებსა და აპლიკაციებში მათი უპრობლემო ინტეგრირებისთვის.

ევოლუშენ აკადემია

ევოლუშენ აკადემია მდებარეობს საწარმოო სტუდიებში და პასუხისმგებელია სათამაშო პერსონალის დაქირავებაზე და მათ თავდაპირველ და მიმდინარე დატრენინგებაზე -თამაშების წარმდგენებიდან დაწყებული, ბანქოს ამრევებით გაგრძელებული და კლიენტების მომსახურების პერსონალით დამთავრებული

აკადემია ზუსტად ისეა მოწყობილი, როგორც ლაივ კაზინო სტუდია, ისეთი ტრენინგის უზრუნველსაყოფად, რომელიც მაქსიმალურად რეალისტურია, ტრენინგის ნორმალური პერიოდი ახალი თამაშის წარმდგენისთვის დაახლოებით 100 საათია, რის შემდეგაც 3 თვიანი სტაჟირების პერიოდი იწყება.

თითოეულ ახალ დაქირავებულ თანამშრომელს ენიშნება მენტორი და სტაჟირების პერიოდის დასრულების შემდეგაც გრძელდება ტრენინგი, მათი უნარების შემდგომი განვითარების და სათამაშო შეცდომების რისკის მინიმუმამდე დაყვანისთვის. დასაქმების პერიოდში თითოეული თანამშრომელი აგრძელებს ტრენინგს მათი შედეგების მიხედვით და ასევე, ახალი თამაშების ან სხვა ტექნიკური მახასიათებლების წამოწყებასთან პარალელურად. ტრენინგი აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების, კანონმდებლობის, ფულის გათეთრების კონტროლის სხვა სფეროების შესახებ წარმოადგენს ტრენინგის აქტივობების მთავარ ნაწილს.

ჩვენი თამაშების პორტფელი

.ევოლუშენი არის მსოფლიოში წამყვანი ონლაინ კაზინო-კონტენტის პროვაიდერი, რომელიც გთავაზობთ პროდუქციის უბადლო პორტფელს, უძლიერესი ლაივ კაზინოს შეთავაზებით ბაზარზე მისი NetEnt, Red Tiger, Big Time Gaming (BTG) and Nolimit City ბრენდებისგან

LIVE CASINO

LIVE GAME SHOWS

FIRST PERSON

SLOTS



PROMOTIONS SUITE

კომპანიამ პირველი „ბლექჯეკის“ მაგიდების ლაივ სტრიმინგი დაიწყო 2018 წლის 30 მარტს. კომპანია აგრძელებს ახალი თამაშების განვითარებას და დამატებას ბიზნესის საჭიროებების შესაბამისად. 2023 წლის მონაცემებით, ევოლუშენ ჯორჯია 17 თამაშს მაუწყებლობს, რომლებიც არის: ბლექჯეკი, Speed ბლექჯეკი, Unlimited ბლექჯეკი, Infinite ბლექჯეკი, Lightning ბლექჯეკი Free bet ბლექჯეკი, , Speed ბაკარა, Face Down ბაკარა, Top Card, SicBo, რულეტკა, კაზინო ჰოლდემი, რუსული პოკერი, რულეტკა, ამერიკული რულეტკა, Speed რულეტკა Lightning რულეტკა, ბაკარა, XXXtreme Lightning რულეტკა.

კლასიკური თამაში

ლაივ რულეტკა

კლასიკური თამაში რომელიც ევოლუშენის ნაწილია დაარსებიდან. დილერი ისვრის ბურთს ბორბლის მბრუნავი ისრის საწინააღმდეგოდ და საბოლოო მომხმარებელი ფსონს დებს რიცხვზე ფერსა ან ორივეს კომბინაციაზე პირვანდელ თამაშზე დამატებით, ევოლუშენი გვთავაზობს სხვადასხვა ნაირსახეობებს·

- Იმერსიული რულეტკა
- სწრაფი რულეტკა
- მსუბუქი იმერსიული
- ამერიკული რულეტკა ორმაგი ზერო
- პრივატული სალონური რულეტკა
- ℓ = რულეტკა მშობლიურ ენაზე
- ორბურთიანი რულეტკა
- მინი ლაივ რულეტკა
- სლინგშოთ ავტო რულეტკა

კლასიკური თამაში

ლაივ ბლექჯეკი

კიდევ ერთი კლასიკა, სადაც საბოლოო მომხმარებელი ცდილობს ხელში ჰყავდეს ბანქო, რომლის ქულებიც უფრო ახლოა 21 რიცხვთან, ვიდრე დილერის ბანქოს ქულები. ევოლუშენის ფსონები დადების სისტემა უფლებას აძლევს საბოლოო მომხმარებელს მონაწილეობა მიიღოს, ფსონები დადოს იმათზე, ვინც მაგიდასთან ზის. არსებობს სხვადასხვა ნაირსახეობების ფორმატები, რაც მოიცავს:

- პრივატული სალონის ბლექჯეკი
- ბლექჯეკის წვეულება
- მრავალგვარი ვიპ ვარიანტები
- ნიუ ჯერსი ბლექჯეკი

კლასიკური თამაში

ბაკარა

ევოლუშენი სთავაზობს ბაზრის ყველაზე კაზინოსებურად რეალისტურ ბაკარას გამოცდილებას ლობიოს მარცვლის მაგვარი მაგიდებით., მუქი ბანქოთი, გზებით და „სქუიზით“ - რაც შესაძლებელია გაკონტროლდეს საბოლოო მომხარებლის მიერ.

- ბაკარას პრივატული სალონი
- ბაკარა „სქუიზი“
- ბაკარას საკონტროლო „სქუიზი“
- სწრაფი ბაკარა
- ბაკარა საკომისიოს გარეშე

მდგრადობის ანგარიში

ევოლუშენი ერთგულია მისი საქმიანობის მდგრადი წარმოების, მისი გუნდის წევრების მუდმივი დაცვისა და მხარდაჭერის მიმართ, ასევე ის ცდილობს ჰქონდეს დადებითი გავლენა იმ საზოგადოებებზე , რომელშიც კომპანია მუშაობს.

მუშაობა მდგრადობის მიმართულებით

ევოლუშენი აწარმოებს მდგრად ბიზნეს საქმიანობას, რომელიც ორიენტირებულია ეთიკის დაცვასა და პასუხისმგებლობაზე, თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და დინამიური სამუშაო გარემოს შეთავაზებაზე, იმ ადგილობრივი საზოგადოების განვითარების მხარდაჭერაზე, სადაც ჩვენ ვეწევით ჩვენს საქმიანობას, ასევე ჩვენი ოპერაციების მიერ კლიმატზე დატოვებული კვალის მინიმუმამდე შემცირებაზე. ჩვენ, ოფიციალურ, საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას მდგრადობის მიმართულებით მუშაობაში განვიხილავთ როგორც მინიმალურ დონეს, რომელსაც ემატება როგორც ჩვენი ორგანიზაციის შიგნით არსებული, ასევე იმ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ბაზრებზე არსებული მოთხოვნები, სადაც ჩვენ საქმიანობას ვაწარმოებთ.

ვთვლით, რომ მდგრადობა არის ჩვენი სტრატეგიული და ოპერაციული პროცესების განუყოფელი ნაწილი - პროცესების, რომლებიც ეფუძნება ტექნიკური ინოვაციების კომბინაციას და გრძელვადიან პერსპექტივას პროდუქტებისა და ზოგადად ოპერაციების განვითარებასთან დაკავშირებით. ამ პროცესებში მდგრადობის ასპექტების ჩართვით, ჩვენ ვინარჩუნებთ ევლუშენის ზრდის მუდმივ და ძლიერ მაჩვენებლებს.

ბიზნეს მოდელი

ჩვენი მუშაობა ეთიკასა და პასუხისმგებლიან აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს ევოლუშენის საქმიანობის კონკურენტუნარიანობას და გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადობას. ბიზნეს მოდელი ნათლად ასახავს როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას ევოლუშენს, სათამაშო ოპერატორებსა და სათამაშო ოპერატორის მოთამაშეებს შორის. ეს პასუხისმგებლობები ასევე არეგულირებს, თუ როგორ ხდება მდგრადობის ასპექტების დარეგულირება ეთიკასა და პასუხისმგებლიან აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით.

ევოლუშენი აკმაყოფილებს მოთხოვნებს ეთიკისა და პასუხისმგებლობის კუთხით, რაც ეფუძნება პრაქტიკულ შესაძლებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენს მუშაობასთან და როლთან, როგორც B2B დეველოპერი და კონტენტ პროვაიდერი ჩვენი მომხმარებლებისთვის, ანუ თამაშების ოპერატორებისთვის. თამაშების ოპერატორები ინახავენ ყველა მონაცემს კონკრეტული მოთამაშეების ვინაობასთან დაკავშირებით, ასევე აკონტროლებენ და მონიტორინგს ახორციელებენ ყველა იმ სათამაშო ფუნქციასთან დაკავშირებით, რომელიც დაკავშირებულია ფსონების მიღებასთან.

ჩვენი ღირებულებები

ჩვენ ვიყენებთ მდგრადობის ტერმინის ფართო განმარტებას, ჩვენი ამბიციები ეფუძნება ჩვენს ღირებულებებს ჯგუფის მასშტაბით. ეს ღირებულებები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ევოლუშენის მდგრადობის ექვს სფეროსთან – რეგულარულად ეცნობება ყველა თანამშრომელს, ასევე თანამშრომლების დაქირავების პროცესში:

• **ცოცხალი**– ჩვენ გვიყვარს გამარჯვება. ჩვენ ვართ საქმიანები, ინოვატორები, ყოვლეთვის მზად ვართ უფრო მეტისთვის. ჩვენი მომხმარებლის წარმატება ჩვენი წარმატებაა.

• **სწორი საქმის კეთება** –ჩვენ ვმატებთ ხარისხს და მთლიანობას ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ – ჩვენი სანდოობა გადამწყვეტია ჩვენი საქმისთვის. ჩვენ ვცდილობთ მოვუტანოთ სარგებელი იმ საზოგადოებას, რომელშიც ვმუშაობთ,

• **ერთად მუშაობა** –ჩვენი წარმატებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს უნარს, მივიღოთ მრავალფეროვნება. ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთს და გვჯერა გამჭვირვალე და გულწრფელი დიალოგის. ჩვენ ვუფრთხილდებით და ვეხმარებით ერთმანეთს.

მდგრადობის პოლიტიკა

მდგრადობის პოლიტიკა. ევოლუშენს აქვს მდგრადობის პოლიტიკა ჯგუფის მასშტაბით და ემორჩილება მდგრადობის ამ პოლიტიკას ყველა კორპორაციულ საქმიანობაში, ამ პოლიტიკისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების დანერგვის გზით, რაც მოიცავს ქცევის კოდექსსა და მამხილებელ პროცედურებს. მეტიც, ევოლუშენი მოელის, რომ მისი მომხმარებლები, მომწოდებლები და ბიზნეს პარტნიორები საკუთარი საქმიანობის წარმართვისას დაიცავენ იმის მსგავს სტანდარტებს, რომლებიც ასახულია ევოლუშენის მდგრადობის პოლიტიკასა და ქცევის კოდექსში.

კომპანიის პოლიტიკა ხორციელდება გუნდის წევრებთან განმეორებითი კომუნიკაციით და სავალდებულო ტრენინგებით. პოლიტიკა ყოველწლიურად განიხილება და ყოველთვის ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის კომპანიის შიდა ქსელის საშუალებით

პოლიტიკა	მიზანი	მფლობელი
მექრთამეობის საწინააღმდეგო და ანტიკორუფციული პოლიტიკა	ჩამოაყალიბოს კომპანიის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიონალიზმისა და ეთიკური ქცევის უმაღლესი სტანდარტები მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან ურთიერთობისას	ჯგუფის ხელმძღვანელობა
ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და კონტრტერორისტული დაფინანსების პოლიტიკა	დეტალურად აღწეროს ის ღონისძიებები, რომლებიც კომპანიამ უნდა განახორციელოს, რათა თავიდან აიცილოს ოპერაციების გამოყენება ფულის გათეთრებისთვის ან ტერორიზმის დასაფინანსებლად.	ჯგუფის ხელმძღვანელობა
გლობალური პოლიტიკა ადამიანურ რესურსებზე	უზრუნველყოს ყველა მენეჯერის თანმიმდევრული გადაწყვეტილებების საფუძველი. წვლილი შეიტანოს მმართველობისა და მარეგულირებელი წესების დაცვაში.	ადამიანური რესურსები (HR)
მონაცემთა დაცვა და კონფიდენციალურობის პოლიტიკა	დაიცვას თანამშრომლები, მომხმარებლები და კომპანია პერსონალური მონაცემების შესახებ პირობების დარღვევის შედეგად გამოწვეული ზიანისგან.	მონაცემთა უსაფრთხოება
სამუშაო გარემოს პოლიტიკა	თავიდან აიცილოს ფიზიკური თუ მენტალური დაავადებები სამუშაო გარემოში. უზრუნველყოს გაუთვალისწინებელი ხარჯები იმ ინციდენტებისთვის, რომლებსაც ადგილი ექნებათ	HR
თანასწორობის პოლიტიკა	გაზარდოს ინფორმირებულობის დონე გენდერული თანასწორობის საკითხებზე და კომპანიის მასშტაბით უზრუნველყოს ღია დამოკიდებულებისა და თანაბარი მოპყრობისკენ სწრაფვა.	HR
დისკრიმინაციის პოლიტიკა	დაიცვას თანაბარი მოპყრობის პრინციპი ყველა თანამშრომლისთვის და თავიდან აიცილოს შეურაცხმყოფელი, ძალადობრივი მოპყრობა	HR
საკომუნიკაციო პოლიტიკა	შექმნას სახელმძღვანელო მითითებები გარე და შიდა კომუნიკაციისთვის და უზრუნველყოს საკომუნიკაციო პასუხისმგებლობის განსაზღვრა	ჯგუფის ხელმძღვანელობა
მონაცემთა უსაფრთხოების პოლიტიკა	დაიცვას თანამშრომლები, მომხმარებლები და კომპანია კიბერშეტევებისგან და მონაცემთა შესახებ პირობების დარღვევისგან	მონაცემთა უსაფრთხოების დეპარტამენტი
მდგრადობის პოლიტიკა	უზრუნველყოს კომპანიის მდგრადობის საერთო გეგმა	ჯგუფის ხელმძღვანელობა



ჩვენი თანამშრომლები



ევოლუშენი უნდა იყოს სამართლიანი და ღირებული დამსაქმებელი, რომელიც აქტიურ წვლილს შეიტანს თანამშრომლების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაში. ჩვენი მიზანია ვიყოთ პლატფორმა, რომელზეც ჩვენი ხალხი ვითარდება და იზრდება - როგორც დასაქმებული და ასევე, როგორც ინდივიდი. ბევრი თანამშრომლისთვის, ჩვენთან მუშაობა არ წარმოადგენს მხოლოდ მათ პირველ კონტაქტს ახალ კომპანიასთან ან ინდუსტრიასთან, არამედ ეს არის მათი ზოგადად სამუშაო პროცესში წარდგენა. ევოლუშენის ინოვაციური პროფილით, მოწინავე ტექნოლოგიით და პროდუქტების გლობალური დისტრიბუციით, ჩვენ მიმზიდველ დამსაქმებელს წარმოვადგენთ.

მაღალი ხარისხის შედეგები

ჩვენი აზრით, ანგარიშვალდებულება როგორც გუნდურ, ისე ინდივიდუალურ დონეზე არის საქმიანობაში ეფექტური, მაღალი ხარისხის შედეგების მიღწევის წინაპირობა. ჩვენი თანამშრომლების გადაწყვეტილებები და მოქმედებები ყოველდღიურად არის ის, რასაც წინ მიჰყავს ოპერაციები და ეხმარება შედეგების მიღწევას ამის შესასრულებლად, ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ღია და გამჭვირვალე სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად, რომელიც ხასიათდება გუნდური მუშაობით და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით. თანაბრად მნიშვნელოვანია განათლება და უნარების განვითარება როგორც მცირე, ისე რბილი უნარების მიმართ. განვითარების მონიტორინგისა და ყოველდღიური მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭირო სფეროების დასადგენად, ჩვენ ყოველწლიურად ორჯერ ვატარებთ თანამშრომლების ჩართულობის გამოკითხვას.

რისკი

ყველაზე დიდი რისკი ის არის, რომ ევოლუშენმა ვერ უზრუნველყოს იმ უნარების მიწოდება, რომელიც საჭიროა მაღალი დონის მოთხოვნისა და სწრაფი ზრდის დასაკმაყოფილებლად. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს ოპერაციების გაფართოებისა და განვითარების შესაძლებლობებზე.

კულტურა და ღირებულებები

გვჯერა, რომ ძლიერ კორპორაციულ კულტურას - თანამშრომელთა პოზიტიური, დინამიური გამოცდილების ხელშეწყობა, ასევე მომხმარებელზე და საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირება - გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ გავაგრძელოთ შედეგების უზრუნველყოფა. ჩვენს ღირებულებებში ფესვგადგმულია ALIVE, do RIGHT და work TOGETHER, ჩვენ ყოველდღიურად ვცდილობთ გაუმჯობესებას. ღირებულებები იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს და პირდაპირ აკავშირებს რამდენიმე მიზანსა და ამბიციას, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ მდგრადობისთვის მუშაობის პროცესში, მაგალითად როგორიცაა თანამშრომლობისა და მრავალფეროვნების მნიშვნელობა. ღირებულებები

თანამშრომლების ჩართულობა

მიგვაჩნია, რომ თანამშრომელთა ჩართულობა გადამწყვეტია ჩვენი ბიზნესის წარმატებისთვის. შესაბამისად, ევოლუშენის ჩართულობის კვლევა ტარდება ყველა გუნდში ყოველწლიურად ორჯერ. ეს ეფუძნება Gallup-ის დადასტურებულ ანალიზის მოდელს და არის თანამშრომლების გამოკითხვის ჩვენი ვერსია. თანამშრომლები პასუხობენ 12 კითხვას და შედეგები გამოიყენება თითოეული მენეჯერის სამოქმედო გეგმის საფუძვლად. მიზანია, ამ კვლევებმა სწრაფად დაადგინოს, თუ რა მუშაობს კარგად ან ნაკლებად კარგად მცირე მასშტაბის ყოველდღიურ აქტივობებში და გზა გახსნას გაუმჯობესებისთვის. 2023 წელს ჩატარდა ორი ჩართულობის კვლევა.

უნარების განვითარება

ჩვენ გვაქვს სტუდიის ოპერაციებში ახალი თანამშრომლების ადაპტაციის და მომზადების დიდი გამოცდილება. ყველა ახალი თანამშრომელი პირველ ორ ან სამ კვირას ატარებს ევოლუშენის აკადემიაში, სადაც ისინი მიიღებენ საბაზისო ტრენინგს კრუპიეს ტექნიკაში, ისევე როგორც გადმოცემის უნარებში, როგორიცაა წარდგენის უნარები და კამერასთან მუშაობის ტექნიკა.

ჩვენ ხელს ვუწყობთ შიდა კარიერულ შესაძლებლობებს, როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ დონეზე. გვქონდა ბევრი დადებითი მაგალითი იმისა, რომ თანამშრომლები თავიანთ კარიერას ამ გზის გამოყენებით ავითარებენ.

ყველა მენეჯერი და სხვა თანამშრომელი გადის ტრენინგებს პასუხისმგებლიან აზარტულ თამაშებთან, მონაცემთა უსაფრთხოებასა და GDPR-თან დაკავშირებით. გარკვეული შერჩეული პოზიციებისთვის სავალდებულოა კურსები ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების, კორუფციისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ლიდერობის განვითარება

2023 წელს, ჩვენი გლობალური ლიდერობის განვითარების სტრუქტურა გაფართოვდა, ნაწილობრივ პროგრამის მეშვეობით თანამშრომლებისთვის, რომლებიც პირველად ხდებიან მენეჯერები (მეგობრიდან- მენეჯერამდე და გუნდის ლიდერის გამოცდილების სესიები), ნაწილობრივ უფრო გამოცდილი მენეჯერების პროგრამის მეშვეობით (მენეჯერიდან ტრენერამდე).

ჩვენი საზოგადოება

ევოლუშენი ცდილობს იყოს კარგი კორპორაციული მოქალაქე. ჩვენ ამას ვაკეთებთ იმით, რომ აქტიურად ვუჭერთ მხარს პოზიტიურ განვითარებას იმ ადგილობრივ საზოგადოებაში, სადაც ჩვენ ვაგრძელებთ საქმიანობას. ძალისხმევა ძირითადად ორიენტირებულია თანამშრომლების ჩართულობაზე და პროექტებისა და ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე ადგილობრივ ორგანიზაციებთან პარტნიორობით.

ევოლუშენი - სწავლისა და განათლების მხარდაჭერა

ჩვენი თანამშრომლებისადმი ჩვენი მისწრაფებების შესაბამისად - სადაც ჩვენ ვაჯილდოებთ ნიჭს და ამბიციებს - ჩვენი ძალისხმევა მიმართულია ადგილობრივ საზოგადოებასა და ადამიანებისთვის შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი. შესაბამისად, ჩვენი ბევრი ინიციატივა გულისხმობს განათლების შესაძლებლობების ხელშეწყობას ან წახალისებას.

რისკი

ევოლუშენი ადგილობრივ საზოგადოებებს რომ არ უჭერდეს მხარს, რისკავს, რომ აღქმული იყოს, როგორც კომპანია, რომელსაც არ გააჩნია პასუხისმგებლობა და არ ითვალისწინებს სხვებს. სოციალური პასუხისმგებლობის უგულებელყოფამ ასევე შეიძლება შეაფერხოს ახალი თანამშრომლების დაქირავების ჩვენი შესაძლებლობები. შესაბამისად, ამ ტიპის მხარდაჭერა ხელს უწყობს ევოლუშენის, როგორც კომპანიის გაძლიერებას იმ ოპერაციების მეშვეობით, რომლებიც ასოცირდება თანაგრძნობასთან და ადგილობრივი საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის მზაობასთან.

რა გავაკეთეთ 2023 წელს

ჩვენი ყველაზე დიდი სტუდია მდებარეობს საქართველოში. საშობაო და საახალწლო ზეიმებისთვის მომზადებისას, ვითანამშრომლეთ ადგილობრივ ორგანიზაცია Supergmiri.ge-სთან (სუპერგმირები). ორგანიზაცია მხარს უჭერს მათ, ვისაც სურს გავლენა მოახდინოს თანამემამულეების ცხოვრებაზე და ჩაერთოს მასში დადებითი კუთხით . თანამშრომლობის ფარგლებში, ევოლუშენის თანამშრომლებმა უზრუნველჰყვეს საჩუქრები, რომლებიც დაურიგეს ორგანიზაციის ქსელში არსებულ გაჭირვებულ ოჯახებს.

2023 წელს ჩვენ წარმოვადგინეთ EVO სასტიპენდიო პროგრამა ჩვენი ერთგული თანამშრომლების ინსპირაციისა და მოტივაციისათვის. ჩვენი მიზანია ვაღიაროთ და დავაჯილდოოთ მათი შრომისმოყვარეობა, ერთგულება და პოზიტიური დამოკიდებულება მათი პასუხისმგებლობის მიმართ. ჩვენ მზად ვართ მხარი დავუჭიროთ ჩვენს თანამშრომლებს მათი მისწრაფებების მიღწევაში, როგორც კომპანიის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

მრავალფეროვნება



ევოლუშენი უნდა იყოს ინკლუზიური სამუშაო ადგილი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება პატივისცემა და სადაც მრავალფეროვნება ყველა ფორმით განიხილება, როგორც აქტივი. იმის გამო, რომ ჩვენ ვმუშაობთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მრავალფეროვნება გვეხმარება, რომ სანდო გავხადოთ ჩვენი შედეგები შესაბამის ბაზრებზე. ჩვენი ხედვაა, რომ პერსპექტივებისა და გამოცდილების მრავალფეროვნება ევოლუშენს აქცევს უფრო დინამიურ და ინოვაციურ კომპანიად.

რისკი

თუ ევოლუშენი არ შეუწყობს ხელს მრავალფეროვნებას, ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის უნარზე, გაიაზროს და დააკმაყოფილოს მომხმარებლის სხვადასხვა საჭიროებები. არაადეკვატურ მრავალფეროვნებას ასევე შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს ინოვაციებზე და შეაფერხოს ახალი თანამშრომლების მოზიდვისა და ჩვენი გრძელვადიანი უნარების მოთხოვნილებების უზრუნველყოფის შესაძლებლობები.

ეკეთესი ბიზნესი

ჩვენს სამუშაო ადგილებზე მრავალფეროვნების ხელშეწყობას ბევრი სარგებელი მოაქვს. ჩვენ უზრუნველვყოფთ ზოგადი ფონისა და გამოცდილების ნაზავს ლიდერებისთვის, ასევე სხვა თანამშრომლებისთვის. ეს ნაზავი იმ ოპერაციების წარმატებული წარმართვისთვის , რომელიც ორიენტირებულია მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებზე, სხვადასხვა კულტურული წარმომავლობით. მრავალფეროვნება გვაიძულებს რეაგირებას და ხელს უწყობს შეთავაზებისა და ჩვენი პროდუქტის ინოვაციების ადგილობრივ პირობებთან ადაპტაციას.

მრავალფეროვნება თანამშრომელთა დაქირავების პროცესში

ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის, რომ ვინც საუკეთესოდ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დასაქმდება, ან დაწინაურდება. ამავდროულად, ჩვენ ვცდილობთ ბალანსის შენარჩუნებას დასაქმებისას და მრავალფეროვნების პერსპექტივის გათვალისწინებას, მაშინ, როდესაც სხვა კუთხით, კანდიდატებს აქვთ ეკვივალენტური კვალიფიკაცია. გენდერული თანასწორობა ევოლუშენის კულტურის განუყოფელი ნაწილია და, ამრიგად, ევოლუშენი მიზნად ისახავს მიაღწიოს ანაზღაურების თანასწორობას. კომპანიის მიზანია შეამციროს მოცემულ სამუშაო კატეგორიაში ქალებისა და მამაკაცების ანაზღაურებებს შორის სხვაობა

ჩვენი გარემო

ევოლუშენის ინოვაციური მიდგომა და ტექნიკური გამოცდილება გვეხმარება გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებაში. ამ მიდგომის მიხედვით, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ შევიმუშავოთ უკეთესი მეთოდები და უფრო გონივრული გადაწყვეტილებები, რომლების გავლენაც უფრო მასშტაბური იქნება. ჩვენ ინფორმირებულები ვართ (i) კლიმატის ცვლილებასთან და დაბინძურებასთან დაკავშირებული რისკების და (ii) რესურსების მდგრადი გამოყენების მნიშვნელობის შესახებ. ეს საკითხები განიხილება გარემოსდაცვითი და კლიმატის საკითხების გათვალისწინებით, რაც ინტეგრირებულია ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. ისტორიულად, ყურადღება გამახვილდა ჩვენს სტუდიებში ენერგიის უფრო ეფექტურ გამოყენებაზე, ასევე გამოყენებული მასალების შემცირებაზე და ინოვაციურ მიდგომაზე ტექნოლოგიურ განვითარებასა და სტუდიის მშენებლობასთან დაკავშირებით.

რისკი - ასევე არსებობს ევოლუშენის ოპერაციებთან დაკავშირებული რისკები, რომლებზეც შეიძლება გავლენა იქონიოს გარემო პირობებმა, როგორიცაა კლიმატის ცვლილების შედეგები.

მდგრადობა ინოვაციების მეშვეობით. ყველაზე დიდი კვალი კლიმატზე დაკავშირებულია ჩვენს შენობაში ენერგიის მოხმარებასთან და ტექნიკურ აღჭურვილობასთან. ამ მოხმარების მოცულობის შესამცირებლად - და, შესაბამისად, CO2-ის გამოყოფის შესამცირებლად - ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებების გამოყენებით.

მასალების გამოყენების შემცირება - ჩვენი მიდგომა ცირკულარულია და შესაბამისად, დავამკვიდრეთ მაგალითად ნარჩენების მართვის პროცესები საოფისე აღჭურვილობისა და სტუდიის ტექნიკისთვის. მიზანია მუდმივად გაიზარდოს ხელახლა გამოყენებადი მოცულობები, რომლებიც შემოწირულია, იყიდება ან იგზავნება ნარჩენების გადამუშავების ცენტრებში.

პასუხისმგებლიანი თამაში

ევოლუშენ გრუფმა უნდა იმუშაოს პასუხისმგებლიანი აზარტული თამაშების ხელშეწყობაზე და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე. ჩვენ მოგაწვდით ინფორმაციას და ინსტრუმენტებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას აზარტული თამაშების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად იმ ფარგლებში, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ჩვენს პროდუქტებთან. ამის მიღწევა ჩვენთვის შესაძლებელია ღირებულების ჯაჭვში ჩვენი როლის საფუძველზე, სადაც ვავითარებთ და ვქმნით კონტენტს, რომელიც შემდეგ გადაეცემა ჩვენს მომხმარებლებს, სათამაშო ოპერატორებს, რომლებიც, თავის მხრივ, ამატებენ ისეთ ფუნქციებს, რომლებიც აუცილებელია თამაშების გასათამაშებლად და შემდეგ ვთავაზობთ მას მოთამაშეებს. .

ინფორმირებულობა. ევოლუშენ გრუფი თავის პროდუქტებს მხოლოდ ლიცენზირებულ ოპერატორებს სთავაზობს. ისინი უნდა შეესაბამებოდნენ მარეგულირებელ მოთხოვნებს თითოეულ ბაზარზე არსებული ლიცენზიების შესაბამისად. ჩვენ მხარს ვუჭერთ ოპერატორებს და სავაჭრო ასოციაციებს მათ მუშაობაში, ასევე ვიცავთ შიდა ინფორმირებულობას და ეფექტური მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს.

რა გავაკეთეთ 2022 წელს • პასუხისმგებლიან აზარტულ თამაშებში შიდა ტრენინგის ადაპტაცია, რომელიც გამარტივდა და შემდგომ ადაპტირდა ცალკეულ სამიზნე ჯგუფებზე • ევოლუშენის თამაშებში რეალურ ფულზე აზარტული თამაშების აკრძალვის ცალკეული პოლიტიკა ინტეგრირდა ევოლუშენის ქცევის კოდექსში. შემდეგი ნაბიჯები • ევოლუშენი აპირებს გააგრძელოს მუშაობა პასუხისმგებლიანი აზარტული თამაშების შესახებ ინფორმირებულობის პოპულარიზაციის მიმართულებით.

ეთიკური ბიზნეს პრაქტიკა

ევოლუშენი აქტიურად ებრძვის კორუფციას მის ყველა გამოხატულებაში, მათ შორის მექრთამეობასა და გამომძალვას. ჯანსაღი და სამართლიანი ბიზნეს პრაქტიკისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია მუშაობა, სადაც ფუნდამენტურია თანამშრომლების, პარტნიორების და ადამიანის უფლებების პატივისცემა. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეთიკური ბიზნეს პრაქტიკა გავრცელებული იყოს ოპერაციების მასშტაბით, გვაქვს დეტალურად გაწერილი შიდა მარეგულირებელი სისტემები. ასევე გვაქვს ჩვენი ქცევის კოდექსი, ასევე ევოლუშენის საჩივრების სისტემა, რომელზეც ყველა თანამშრომელს შეუძლია ჰქონდეს წვდომა შიდა ქსელის საშუალებით.

საიმედო საქმიანობა. ეთიკური ოპერაციები გადამწყვეტია ევოლუციის მუდმივი ზრდისთვის. ამის მისაღწევად საბოლოო პასუხისმგებლობა დირექტორთა საბჭოს ეკისრება. ქცევის კოდექსი აღწერს ჩვენს ყველაზე მნიშვნელოვან ეთიკურ პრინციპებს. კოდექსი ვრცელდება ყველა თანამშრომელზე, მიუხედავად მათი როლისა კომპანიაში ან ქვეყანაში, სადაც ისინი მუშაობენ. ჩვენ ასევე მოველით, რომ ევოლუშენის ბიზნეს პარტნიორები გამოიყენებენ კოდექსს ან ეკვივალენტურ ეთიკურ მითითებებს საკუთარ საქმიანობაში. ქცევის კოდექსი წარედგინება ყველა ახალ თანამშრომელს გაცნობითი ხასიათის ტრენინგთან ერთად. კოდექსი ასევე ხელმისაწვდომია შიდა ქსელისა და ჩვენი გარე ვებგვერდის საშუალებით. კოდექსს ყოველწლიურად განიხილავს და აფასებს დირექტორთა საბჭო. ქცევის კოდექსის გარდა, ევოლუშენმა მიიღო ქრთამის საწინააღმდეგო და ანტიკორუფციული პოლიტიკა, ასევე ფულის გათეთრებისა და ტერორისტული დაფინანსების საწინააღმდეგო პოლიტიკა. ეს სახელმძღვანელო მითითებები ხელს უწყობს ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ საქმიანობის სათანადო შეფასების და შესყიდვის პროცესებს მომხმარებლებისა და ძირითადი მომწოდებლებისთვის. ამ სფეროების პრინციპები - და ზოგადად მდგრადობის ასპექტებთან დაკავშირებული საკითხები - დეტალურად არის აღწერილი ჩვენს მდგრადობის პოლიტიკაში, რომლის დაცვასაც კომპანია მოელის თანამშრომლების და ბიზნეს პარტნიორებისგან. მდგრადობის პოლიტიკა ხელმისაწვდომია ევოლუშენის ვებგვერდის მეშვეობით - www.evolution.com.



ფინანსური მონაცემები

2023 წელი ევოლუშენ ჯორჯიასთვის მუშაობის მე-6 წელია, აქ ნაჩვენებია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

- აქტივების მოცულობა 2023 წლის ბოლოს 125მილიონი ლარია
- ვალდებულებების მოცულობა 2023 წლის ბოლოს 76 მილიონი ლარია
- კაპიტალი 33 899 000 ლარიდან 48 157 000 ლარამდე გაიზარდა.

კომპანიის სრულმა შემოსავალმა ფინანსური ანგარშგების საერთაშორისო სტანდარტებით 13,942,000 ლარი შეადგინა. ევოლუშენ ჯორჯიას შემოსავალი დაფუძნებულია კომპანიის მიერ მაუწყებლობის მომსახურებისას წარმოქმნილ შიდა ხარჯებზე და კომპანიაზე დამატებულ ტრანსფერების პროცენტზე.

2018 წლის დასაწყისში თანამშრომლების რაოდენობა იყო 8 პირი. წლის ბოლოს ამ რაოდენობამ 1067-ს მიაღწია, 2019 წლის ბოლოს 2870 თანამშრომელი იყო, 2020 წლის ბოლოს-3558, ხოლო 2021 წლის ბოლოს, ევოლუშენ ჯორჯიას 5953 თანამშრომელი ჰყავდა, 2022 წლის ბოლოს 7163, ხოლო 2023 წლის ბოლოს -6928 თანამშრომელი.

კომპანიამ პირველი ლაივ ტრანსლაცია 2018 წლის 30 მარტს დაიწყო სამი მაგიდით და წლის ბოლოსთვის მაგიდების რაოდენობა 107-მდე გაიზარდა, 2019 წელს 304 მაგიდამდე, 2020 წლის ბოლოს, მაგიდების რაოდენობა 330-მდე გაიზარდა, ხოლო 2021 წელს, მაგიდების რაოდენობამ სულ 532 შეადგინა, 2022 წელს მაგიდების რაოდენობა გაიზარდა 597-მდე და 2023 წლის ბოლოს მაგიდების რაოდენობა იყო 602.

აუდიტორების შერჩევა ყოველწლიურ საერთო კრებაზე ხდება. აუდიტორმა უნდა შეამოწმოს კომპანიის წლიური ანგარიშგება და ანგარიშები, ისევე, როგორც დირექტორთა საბჭოს მიერ მართვა და ჯგუფის მმართველი დირექტორი. აუდიტორმა ასევე უნდა შეამოწმოს ჯგუფის ანგარიშები, ისევე, როგორც ჯგუფში არსებული კომპანიების ერთმანეთში ურთიერთობა. ასოციაციის წესდების მიხედვით, ევოლუშენს ერთი ან ორი აუდიტორი უნდა ჰყავდეს. აუდიტორი დაინიშნება პერიოდისთვის ყოველწლიური საერთო კრების დასრულებამდე, რომელიც უნდა ჩატარდეს არჩევიდან არაუგვიანეს მეოთხე ფინანსური წლის განმავლობაში. 2023 წელს ჩატარებულმა ყოველწლიურმა საერთო კრებამ ხელახლა აირჩია Öhrlings PricewaterhouseCoopers AB, როგორც კომპანიის აუდიტორები 2024 წლის ყოველწლიური საერთო კრების დასრულებამდე. პასუხისმგებელი აუდიტორია იოჰან

ენგსტამი, რომელიც დაიბადა 1966 წელს და არის უფლებამოსილი საჯარო ბუღალტერი.

დირექტორი

_____

პალ ჯესპერ ფონ ბაჰრი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240648374
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	28.05.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**სალომე სალუქვაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577921111
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	13294189745524

ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდარვა მაისს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - შპს "ევოლუშენ ჯორჯია" ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2023 წლის 31 დეკემბერირი, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.
გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.4-ე მუხლის თანახმად 116.00 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსისი 166-ე მუხლის თაანხმად 20.88 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი. სულ გადახდილია 141.88 ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

საქართველო * GEORGIA * ГРУЗИЯ
ქ. თბილისი * TBILISI * ТБИЛИСИ
ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე
NOTARY PUBLIC SALOME SALUKVADZE